განთიადის მუშაკი

16

გამოცემა საქართველოს ბანათლების მუშაკთა პავშირისა
ცფილისი
1927



ერთიანი საბიბლიოთეკო ბიბლიოთეკა

ქართლელებო ყველა ძეგლება, შეიწყნარეთ!

ცხოვრის ფარული

ეპარქ. ბან. მუშ. კავშირის ცენტრ. ბამბეობის პედაგობიურ-პროფესიონალური ორგანო

№ 2

5 202

ССРР Академия наук Библиотека-Музей имени Акад. И. Гр...

1927 წ. ტფილისი 15/X.

გამოსცემს სახქ. განათლების შუამავლობა ენგურიისა

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა

შეკვ. № 112. მთავლ. № 1781. ტირაჟი 3000

შეისწავლეთ სამხედრო საქმე



პროფ. ა. სვეჩინი.

ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა წაგებულ ომს და მთელი იმ ბოროტებისა და სიძულვილის თავზე დატეხას, რომელიც გროვდება ჩვენს წინააღმდეგ საზღვარგარეთ ბურჟუაზიულ კლასებში. რასაკვირველია, მტერი წამოაყენებს ლოზუნგს, რომ ეომება არა ხალხს, არამედ მმართველ პარტიას; მაგრამ თუ გამარჯვება მას დარჩა, მყისვე დაგვადგამენ კისერზე კოლონიალურ უღელს.

კაცმა სთქვას, ეს სამართლიანიც იქნება, და დამარცხება დამსახურებული იქნება ჩემს მიერ, თუ კი მე ცხვარივით მოვიქცევი და არაფერს არ გავაკეთებ ჩვენი თავდაცვის გასაძლიერებლად. მე ვცხოვრობ სახელმწიფოში, რომელიც მიისწრაფის სოციალიზმისაკენ; ნდობით ვუცქერი ფანჯარასთან მიმავალ წითელარმიელებს; მაგრამ ძალა ჩვენი სახელმწიფოსი არ არის მარტო ჯარში, არც მარტო სამხედრო იარაღებისა და ტყვია-წამლის საწყობებში. ომის ბედს გადასწყვეტს არა ის ნახევარი მილიონი, რომელიც ეხლა ყაზარმებში სწავლობს, არამედ ათჯერ და ოცჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მასა; ომის ბედი გადაწყდება მთელი ქვეყნის, მთელი მოსახლეობის ძალებით.

სამხედრო ფორმა აცვია დღეს მარტო ჩვენ ავანგარდს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ დროის მოგება, რომ ჩვენ მოვასწროთ ამოძრავება. მთავარი ძალები ვართ ჩვენ—გლეხები, გუთანს რომ მიჰყვებიან, დაზგის მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, მასწავლებლები, რკინისგზელები, ტელეგრაფისტები, სამთამადნო მუშები, და მთავარი ძალების ნახევარს შეადგენენ მუშა-ქალები, გლეხ-ქალები, დიასახლისები.

ჩვენი იმედია მასების აქტივობა,—რომ მე, ერთი წევრთაგანი ამ მასისა, არ დავრჩები უმოქმედო მაყურებლად. მაშ რა უნდა გავაკეთო თავდაცვისათვის? ვიყიდო გულზე გასაკეთებელი ნიშანი, შევსწირო ათშაურიანი ავიაციის სასარ-

გებლოდ და მოვისმინო ერთი-ორი მოხსენება? კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ, რასაკვირველია, ამით სრულიადაც არ ამოიწურება მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებანი. შემიძლია ხმა მივსცე რეზოლუციებს, მონაწილეობა მივიღო დემონსტრაციებში. მაგრამ ომს ხომ ვერც რეზოლუციები გადასწყვეტს და ვერც დემონსტრაციები!

ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ მე გავითვალისწინებ,—რას წარმოადგენს მომავალი ომი, რას მოითხოვს ის ჩემგან, და თუ მე ღირსეულად მოვემზადები და შევასრულებ ჩემ როლს. გზა გარკვეული მექნებოდა, წვევამდელი რომ ვიყო, ან სათადარიგო ჯარში გადარიცხული: ჩავეწერებოდი სამხედრო ცოდნათა წრეში, ან მოსამზადებელ კურსებზე, ვივარჯიშებდი სროლაში და მოვემზადებოდი რევოლუციის მეომრად. სალდათის მძიმე მოვალეობას აქვს თავისი უპირატესობანიც: არმიაში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული, წესდებაში გათვალისწინებულია, რა უნდა გააკეთოს თითეულმა,—და ყველა ძალები გაერთიანებულია ერთ ძლიერ ნაკადში.

მაგრამ მე, ომის პირველ თვეებში მაინც, ვერ მოვხვდები ფრონტზე. ასეთსავე მდგომარეობაშია მილიონები: ზოგი გადაცილებულია სამხედრო ასაკს, ზოგი გათავისუფლებულია ჯანმრთელობის მდგომარეობით, ზოგი სამსახურით. ჩემ მდგომარეობაშია ყველა ქალებიც. რაა მაშ ასეთებისათვის ომი—უსიამოვნება, სიძვირე, სიმშილობა, სიცივე, შიში ჰაეროპლანისა, რომელიც ფრონტს გადმოსცილდა და ზურგში ბომბებსა ჰყრის?

გავიკეთოთ გაზის საწინააღმდეგო ნიღაბები, ჩავწვეთ სოროებში და ვიკითხოთ გაზეთებში, თუ როგორ იბრძვიან სხვები? ეს იქნებოდა პირდაპირ გზა დამარცხებისაკენ! მაშ რა უნდა ვქნათ? საით მივმართოთ ჩვენი ძალები, რომ თავდაცვა გავაძლიეროთ?

უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვარკვიო ჩემი ადგილი. ვიქნები თუ არა ომში, რომ ვიმყოფებოდე საზღვრებიდან საკმაოდ დაშორებულ ქალაქში? დიაღ, ვიქნები, რადგანაც ეხლანდელი ომი მოედება და ააფორიაქებს ჩვენი კავშირის ყველაზე მივარდნილ კუთხეებსაც კი. და ომის პირველივე დღეები ყველაზე კრიტიკული იქნება: მშვიდობიანი მშენებლობის გზიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ ომის მდგომარეობაზე. აუცილებლად შეიქნება საკმაო არევ-დარევა. სასტიკად შეეტაკებიან ერთმანეთს პროლეტარულ სახელმწიფოს მოთხოვნილებანი და შეუგნებელ მცხოვრებთა (ობივატელების) ინტერესები. ერთნი ფრონტზე წავლენ, რომ სიცოცხლე შესწირონ, სხვები ჩადგებიან კუდებში მარილისათვის, ნავთისათვის, დაიტაცებენ კოოპერატივებიდან საჭირო და არა საჭირო საქონელს, რომ გადა-



გაზის საწინააღმდეგო საშუალებათა გაძოცდა ევროპაში. მშვიდობიანობაზე ლაპარაკობენ და აი რას აკეთებენ. თვითონ არ სჯერათ თავიანთი სიტყვები. მაგრამ რატომ ჰგონიათ, რომ ჩვენ დავიჯერებთ?



ერთი ინგლისელი მხატვარი ასე გვისურათებს მომავალ ომს. ჰაეროპლანებს გადმოულახავთ ფრონტი და ქალაქში ჰყრიან ბომბებს. ინგრევა და ილეწება ცამდი ასული სახლები. აი საით მიისწრაფის ბურჟუაზიული ქვეყანა! და ამავე დროს მშვიდობიანობაზე ლაპარაკობს მასების თვალების ასახვევად.

მალონ და შეინახონ. ერთნი მობილიზაციას გაუკეთებენ მთელ წარმოებას ომისათვის, სხვები მოაწყობენ სიძვირეს. გავრცელდება ზღაპრული ხმები. მტრის ჰაეროპლანებმა, შეიძლება, გადმოჰყარონ ყალბად შედგენილი ჩვენი გაზეთებიც. იმ განზრახვით, რომ ჩვენ ხელები ჩამოგვაშობინონ, გავრცელდება დაუჯერებელი ხმები ბურჟუაზიულ ტეხნიკის მიღწევების შესახებ.

სახელმწიფოსადმი ნდობას და ჩვენს მისწრაფებას გამარჯვებისაკენ ხელს შეუშლიან ყოველნაირად. დაიწყება პროვოკაციები და ცრუმორწმუნეობის გამოყენება. გლეხებს მოუწოდებენ, გადამალონ პური, რომ ფრონტსა და ქალაქებს სიმშილი მოუმზადონ. მოშხამული სიტყვები უფრო ადრე გაჟღენთენ ჩვენ ატმოსფერას, ვინემ მოწამლული გაზები.

ბნელ და შეუგნებელ ხალხს გაცილებით მეტი ზიანის მიყენება შეუძლია თავდაცვისათვის, ვინემ მოღალატეს. რა ვნების მიყენება შეუძლია გულუბრყვილო დიასახლისს, რომელიც ტირილით გააცილებს ფრონტზე მიმავალთ, რომელიც დაარიგებს თავის შვილს—თავს გაუფრთხილდეს და სხვების დარდი ნუ ექნება, გასცლის კოოპერატივებს და გაავრცელებს ქუდში დგომის დროს ათასნაირ ჭორებს!

ჯარის გაგზავნა ფრონტზე მოითხოვს ცხენების და ურმების მობილიზაციას; საჭირო იქნება ახალ-ახალი ნაწილების შედგენა და ყველაფრით უზრუნველყოფა; ზამთრისათვის საჭირო იქნება თბილი ტანისამოსის გაგზავნა ფრონტზე. სასწრაფოდ უნდა მოეწყოს ლაზარეთები ლოგინებით, თეთრეულებით, ჭურჭლით. ფრონტზე ხომ არა ხუმრობენ და იქიდან დაიწყებენ დენას დაჭრილები. ამოძრავდება ხალხის მასსები. სამხედრო წარმოების განვითარება მოითხოვს ქალაქების ენერგიულ შემჭიდროებას. ასპარეზზე გამოვა ახალი ადამიანები: მუშათა კლასი თავის კადრებს ფრონტზე გაგზავნის, ქარხნებში კი ახალი მუშები მოვლენ სოფლებიდან გლეხური განწყობილებით. ზოგი ქარხნები დაიხურება ნედლეულობის უქონლობის გამო ან გადაკეთდება ახალი წარმოებისათვის. საჭირო გახდება ერთ დღეში ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რომელიც მშვიდობიან დროს თვეები გაგრძელდებოდა.

საჭირო იქნება გამგზავრება ეშელონებისა და შეხვედრა მიმავალი ჯარების.


სასტიკი თვალ-ყურის დევნება დასჭირდება ტრანსპორტსა და წარმოებას; მთელი ქვეყანა გადაიქცევა სამხედრო ბანაკად.

ყველაფერი რიგზე როდი იწარმოებს ამ არევდარევაში: ადგილი ექნება ზოგჯერ უთავობასაც, გულგრილობასაც; ბევრი ენერგია და საშუალება დაიხარჯება უქმად, უსარგებლოდ. ეს აუშორებელია ასეთ დროს.

სამხედრო საქმის მექანიზაცია



კაპიტალისტურ ქვეყნებს აღარა აქვთ თავიანთ ჯარის იმედი მომავალ ომში, რომელსაც ისინი ისტემატიურად ამზადებენ. ამიტომ ცდილობენ ადამიანი, ჯარისკაცი შესცვალონ მანქანით. ინგლისის ჯარებში შემოიღეს ერთადგილიანი ტანკები ერთი ტყვისმფრქველით შეიარაღებული. ასეთი ტანკების რაზმი უსათუოდ დიდი გამანადგურებელი ძალაა, მაგრამ ვერც ეს „რკინის კავალერია“ იხსნის დროთ მოჰმულ წესწყობილებას. ჯერ ერთი რომ აქაც საჭიროა ცოცხალი ადამიანი და მეორეც ასეთი ტანკები მოპირდაპირესაც გაუჩნდება საჭიროების დროს.



ჩვეულებრივი ტანკი გადადის მაღლობზე. არავითარი დაბრკოლება არ არსებობს ამ გიგანტისათვის.

სპეკულიანტები, მფლანგველები, გაიძვერები, ბანდიტები, ლოთები არ გაქრებიან ომის დაწყებით. ომი ხელს უწყობს ასეთ ცოდვებს. თავის საქმიანობას გააძლიერებენ მღვრიე წყალში თევზების ჭერის მოყვარულნი.

მე კი უნდა უცქირო ყოველივე ამას? თუ მომზადებული ვიქნები, შემეძლება სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიო ჩემი რაიონის ოციოდე,—შეიძლება ასიოდესაც,—ნაკლებად შეგნებულ პირებს. შემეძლება მოვაწყო კოოპერატივთან პიკეტი, რომელიც აუხსნიდა, გააგებინებდა ხალხს, რომ დაუშვებელია მობილიზაციის დროს მარაგის შესყიდვა და ამით არა ერთ კუდს ვაფანტავდა. შემეძლება გავფანტო არა ერთი ჭორი ომის შესახებ, მაგრამ ამისათვის საჭიროა ცოტა-რამ მეც გამეგებოდეს ომის საქმეში. შემეძლება დიდი მომჭირნეობა შევიტანო ყოველივე იმის შეგროვებაში, რაც საჭიროა არმიისათვის, და ამავე დროს თავიდან ავაშორო მოსახლეობას უსამართლობა და შეურაცყოფა. შემეძლება მეტი სინათლე და წესრიგი შევიტანო მასების მოძრაობაში. შემეძლება ხელი შევუწყო იმით, რომ ვაცნობო რა შეუძლია მისცეს ომისათვის ჩვენმა რაიონმა და რა არ არის იქ, რომ ტყვილა არ ეძიონ.

რასაკვირველია, მთავრობა, პარტია, გაზეთები მომცემენ განმარტებას, თუ რა უნდა ვაკეთო. მაგრამ საკმარისი იქნება კი ჩემი კეთილი სურვილი, რომ შევასრულო ამოცანა? შესძლებს განა ცენტრი, გაითვალისწინოს და წინდაწინ მომცეს დარიგება, თუ რა მოვლენებს და რომელ სფეროში უნდა გავსცე პასუხი? ყოველ მაზრაში ხომ ომის მოთხოვნილებანი თავისებური იქნებიან; ყოველ პროფესიისთვის—რკინისგზელისათვის, მოსამსახურისათვის, ფოსტალიონისთვის—ომის მოთხოვნილებას თავისებური სახე აქვს. ადვილი სათქმელია: „ყველაფერი ომისათვის“, მაგრამ ომი მოითხოვს შრომის დეტალურ განაწილებას. არც ფრონტსა და არც ზურგს ეხლა არ შეუძლია თავის ამოცანების გადაწყვეტა ჯოგურად, განურჩეველად. ზურგშიაც წამოიჭრება ცალკე კონკრეტული შემთხვევები, რომელიც მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი, უნივერსალური გადაწყვეტა არ არსებობს. ყოველ ცალკე შემთხვევას უნდა მოფიქრება და მოსაზრება; უნდა გავითვალისწინოთ მოვლენები და კუდში არ ვსდიოთ მათ.

ხომ არ შეიძლება შეიქნეს მაგარი ზურგი, თუ მე ენერგიულად არ ვიბრძოლე მისი მუშაობის რაციონალიზაციისათვის, უთავბოლობის თავიდან აშორებისათვის, წარმოების გახალისიანებისათვის, საღი ნერვების შენარჩუნებისათვის, გამარჯვებისათვის? რა გააძაგრებს ზურგს, თუ მე ვიქნენი მაყურებელი და არა მონაწილე, არა ხელმძღვანელი ბრძოლისა?

ყოველგვარ სამხედრო მომზადებას მოკლებული რომ ვიყო, ფრონტზე თოფს უკუღმა მაინც არ დავიჭერდი და არც ვაზნას შევდებ შიგ ტყვიით ჩემკენ. მაგრამ ვარ თუ არა მომზადებული იოტის ოდენადაც ჩემი მოვალეობისათვის ზურგში, არ დავიბნევი? თუ ჩემი საქმეში ჩარევა, კეთილი სურვილი, გამოიწვევს მეტ არევდარევას და საჭირო საქმის ყირამალა დაყენებას?

სინდისს ქვეშ რომ ვსთქვათ, მე არა ვარ მომზადებული. ვერ წარმოვიდგენია რიგიანად მომავალი ომი და მოვლენები, რომელიც მას მოჰყვება ჩვენ რაიონში. მე არ დავინტერესებულვარ იმ როლით, რომელიც წილად ხვდა ჩვენ რაიონს მსოფლიო ომისა და რევოლუციის დროს, რამდენი მეომარი გავგზავნეთ ფრონტზე და რით ვკვებავდით მათ, როგორ შევეგუეთ ომის პირობებს, მისგან გამოწვეულ დანაკლისებს, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენ რაიონს მთელი საბჭოთა კავშირის დაცვაში. ძალიან ბევრი უნდა ვიცოდე და გავაკეთო, მაგრამ რა—არ ვიცი. ჩემი ენერგია უქმად ჩაიარს, თუ განცალკევებული გზით წავედი. ამოცანის დაძლევა შეიძლება მხოლოდ საერთო ძალებით. ეხლავე უნდა შევაგროვო თანამოაზრეთა წრე, რომელნიც მზად არიან ხელი შეუწყონ თავდაცვას არა მარტო სიტყვით, საქმითაც. თუ ჯერ კიდევ არა ვართ თავდაცვა-ავიაქიმის წევრები, ეხლავე ჩავეწერებით, მაგრამ არა იმისათვის, რომ დავკმაყოფილდეთ საწევრო გადასახადით, არამედ იმიტომ, რომ ახლოს ვიყოთ თავდაცვის საქმესთან. ჩვენ ხელს შევუწყობთ იქ წითელ არმიელთა მეომრების კვალიფიკაციის ასაწევად წარმრებულ მუშაობას.

შევამოწმებთ ჩვენ ძალებს, მოვაწყობთ ტირს. ეს ერთბაშად აამაღლებს ჩვენ რაიონში სროლის ცოდნას. ჩვენში თითქმის არ არის ტირები—ამბობენ, ძვირია ჩვენი საზოგადოებრივობისათვისო. მაგრამ ომის პერსპექტივებთან შედარებით, რა უნდა იყოს ტირის მოწყობაზე დახარჯული ენერგია და საშუალებანი? პირველივე ნაბიჯი ამ დაბრკოლებათა გადალახვით უნდა დაგვირგვინდეს. ჩვენთვინაც, ვისაც ზურგში ყოფნა მოელის, სასარგებლოა სროლაში ვარჯიშობა. ახალგაზრდობის გაგზავნა ფრონტზე ისე, რომ არ შევასწავლოდ თოფის საუკეთესოდ მოხმარა,—სამარცხვინოა ჩვენთვის.

მომავალი ომი საიდუმლოებითაა მოცული. ზურგისათვის, არ არსებობს წესდება, რომელიც განმარტავდეს და აწესრიგებდეს ჩვენ მუშაობას. ასეთი წესდება არც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს ხომ საქმეს არ გვიადვილებს. ჩვენ რამოდენიმე საღამო უნდა მოვანდომოთ იმის გამორკვევას, თუ როგორი იქნება ჩვენი ადგილი და როლი მომავალ ომში. ჩემ მეზობლებს ჰგონიათ, რომ ომის დროს ზოგჯერ მოგვიხდება მხოლოდ ცუდი გაზის შეყნოსვა. ეს სისულელეა,—ჩვენ უნდა მოვემზადოთ და გავეცნოთ ომს გაცილებით უფრო დიდ ფრონტზე. ჩემთვის საჭიროა, რომ სავსებით გარკვეული და ნათლად წარმოდგენილი მქონდეს საკითხი,—რა უნდა გავაკეთო მე თავდაცვისათვის,—ვინაიდან ეს აუცილებელია, რომ მე გამოვიჩინო, სრული აქტივობა და არ დავიწყო უაზრო ფუსფუსი.

ინდუსტრიალიზაციის სესხი და განათლების მუშაკნი.

პარტია და ხელისუფლება მიზნად ისახავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რომ თავიდან ავიცდინოთ ეკონომიურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნების ექსპლოატაცია და გავაძლიეროთ ქვეყნის თავდაცვის საქმე. ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფომ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის სესხი— სახელმწიფოში უაღრესად მომწიფებულ საჭიროებისათვის. ამ სესხს აქვს მიზნობრივი დანიშნულება. სესხის რეალიზაცია ნიშნავს გიგანტურ ფაბრიკა-ქარხნების გახსნას, ზაჰესის „ვოლხოსტროის“ და რიონჰესის ამუშავებას, უმუშევრების სამუშაოდ გაწვევას, საქონლის ბლომად ბაზარზე გამოშვებას, მისი თვისების გაუმჯობესებას და ფასების დაკლებას, საბინაო მშენებლობის გაფართოებას და სხვა. არ არსებობს არც ერთი დარგი სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებისა, რომელზედაც უდიდესი გავლენა არ მოახდინოს სესხის განაღდებამ. ყოველივე ამასთან ობლიგაციის პატრონებს საგრძნობი შეღავათები აქვთ: სესხი აძლევს მათ პროცენტებს და საგრძნობ რიცხვს წვრილ და საშუალო მოგებისას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას სჭირდება დიდი რესურსები. საიდან შეუძლია საბჭოთა სახელმწიფომ იშოვნოს ეს თანხა? არ შეიძლება არც გადასახადის გადიდება, არც საქონელზე ფასის მომატება, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვებოდა მოსახლეობას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მუშათა კლასის ინტერესები უკარნახებს სახელმწიფოს შეჩერდეს მესამე საშუალებაზე—სახელმწიფო სესხზე, რომელიც ხელსაყრელია მოქალაქეთათვის და სახელმწიფოსათვისაც. საბჭოთა სახელმწიფო არ ზოგავდა საშუალებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დასაჩქარებლად.

1925/26 წ. ამ მიზნით დახარჯული იყო 811 მილ.
1926/27 „ „ „ „ „ 987 „
1928/29 „ „ „ უნდა დაიხარჯოს 1.186 „

კაპიტალურ აღმშენებლობისათვის სახელმწიფო უშვებს 510 მილ. საწარმონი თავიანთი რესურსებიდან გამოყოფენ ამ მიზნისათვის 800 მილ., ბანკებიც კრედიტების სახით გადადებენ საგრძნობ თანხას.



სად შენდება ახალი ქარხანა—ფაბრიკები.

ამას უნდა დაემატოს კიდევ ახალი რესურსები, პატარა თანხებისაგან შედგარი, მოსახლეობის მიერ გაღებული. 200 მილ. სესხის რეალიზაცია გიგანტური ნაკადია ჩვენი ეპოქის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. ეს საშვილიშვილო საქმე უნდა გაკეთდეს ჩვენივე—შინაური რესურსებით. ამგვარად სოციალისტური მშენებლობა მიიღებს მძლავრ ახალ მასაზრდოებელ წყაროს. მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებს გაშმაგებული იერიშები მოაქვთ ჩვენი აღმშენებლობის ჩასაშლელად, სწორედ ამ დროს უნდა გაისმას მრავალ მილიონიან მშრომელთა მასის მძლავრი ხმა: ჩვენ მზად ვართ მუშურ სახელმწიფოს გასაძლიერებლად გავიღოთ ჩვენი წვლილი—ჩვენივე საკეთილდღეოდ. ყოველივე ამას ეძნება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა: დახავსებული იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ამზადებენ საბჭ. რესპუბლიკების წინააღმდეგ გალესილ ხმალს, იძულებული იქნებიან მრავალ მილიონიან მშრომელ მასების გაკაჟებულ ნებისყოფის წინაშე ქედი მოიხაროონ.

ამგვარად, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციას უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამ უდიდეს საქმეში განათლების მუშაკთა მასამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს. არ უნდა დარჩეს არც ერთი განათლების მუშაკი, რომ მან არ შეიძინოს ობლიგაცია. მაგრამ ამით არ ამოიწურება განათლების მუშაკთა მისია: თვითეული მასწავლებელი, ბიბლიოთეკარი, ქოხსამკითხველოს გამგე და კლუბის მუშაკი მზად უნდა იყოს გლეხების ფართე მასას განუმარტოს ინდუსტრიალიზაციის რეალიზაციის მნიშვნელობა. მათ უნდა შეაგნებინონ გლეხობას ობლიგაციის სესხის შეძენას როგორი პირადი სარგებლიანობა მოსდევს და როგორი მნიშვნელობა აქვს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების ასაღორძინებლად.

გამოვიჩინოთ საჭირო ენერგია და აქტივობა ამ სახელმწიფოს აღმშენებლობის ეპოქაში, ავამოძრაოთ გლეხობის ფართე მასები და დავაინტერესოთ ისინი ობლიგაციის სესხის შეძენაში. ჩვენც შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ უდიდეს საქმეში!

შ. ქარამანიძე.

საარქივო შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის საქართველოში

არც ერთი დარგის წარმოებაში, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს გონებრივ ხასიათის შრომის პირობებთან, არ არსებობს ისეთი ცუდი ჰიგიენური და სანიტარული პირობები, როგორიც არქივებსა და არქივთსაცავებში. საარქივო შრომა, თავისი სპეციალური ხასიათის გამო, თავისთავად ჭგულისხმობს ადამიანის ჯანმთრელობისათვის მავნე პირობებს, მაგრამ ამ პირობებს კიდევ უფრო ამძიმებს და აუარესებს ის გარემოება, რომ ხშირად არქივები და არქივთსაცავები, სადაც საარქივო შრომის პროცესი სწარმოებს, არ არის თავის დანიშნულებასთან შეფარდებით მოწყობილი.

რაში მდგომარეობს საარქივო შრომის ძირითადი მომენტები? საარქივო, მასალების მიღება არქივთსაცავში, მათი კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, ინვენტარისა და მაჩვენებლების შედგენა „შესანახ ერთეულებად“ დამზადება და სათანადო ადგილას დაბინავება, – აი რაში გამოიხატება უმთავრესად საარქივო მუშაობა. ეს მუშაობა (განსაკუთრებით მოუწყობელ არქივთსაცავის პირობებში) ჭგულისხმობს შემდეგ მავნე მომენტებს არქივში მომუშავის ჯანმრთელობისათვის: 1) დაბალ ტემპერატურასა და სინესტეს, 2) მტვერს, 3) ფიზიკურ და გონებრივ ძალების დაჭიმვას, 4) დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას, 5) ყურადღებისა და მხედველობის დაჭიმვას, 6) მტვრიან მასალებზე მუშაობას და სხვ.

შრომის პირობის ყველა დასახელებული მომენტები შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: ერთს შეადგენენ ის მომენტები, რომელნიც საარქივო შრომის შინაბუნებასთან არიან დაკავშირებულნი, მისი სპეციალური ხასიათისაგან გამომდინარეობენ და რომელნიც, მაშასადამე, შეუძლებელია აცილებული იქნენ.

ასეთია, მაგალითად, ყურადღებისა და მხედველობის დაჭიმვა, პასუხისმგებლობის გრძნობა და სხვა, რომელნიც ყოველ მიზეზის გარეშე ძალაუნებურად თან ახლავს საარქივო მუშაობას. ხოლო მეორეს შეადგენენ ის მომენტები რომელნიც არქივისა და არქივთსაცავის ტეხნიკურ პირობებთან არიან დაკავ-

შირებულნი, მისი მოუწყობლობიდან გამომდინარეობენ და, მაშასადამე, სათანადო ღონისძიებით თავიდან აცილების შესაძლებლობას ჰგულისხმობენ. ასეთია, მაგალითად, დაბალი ტემპერატურა, სინესტე, მტვერი და სხვა პირობები არქივთსაცავში. აქედან, ცხადია, რომ საარქივო შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით მიღებული ღონისძიებები უმთავრესად მიმართული უნდა იყოს მეორე კატეგორიის მივნე პირობების აღკვეთისაკენ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო ნაწილობრივ რუსეთშიაც (ყოველ შემთხვევაში მოსკოვსა, ლენინგრადსა და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქებში), როგორც ვიცით, არქივები მოთავსებულია სპეციალურ შენობებში, სადაც მხედველობაში მიღებულია, როგორც საარქივო მასალების დაუზიანებლად დაცვისა და დაუბრკოლებლად მათი გამოყენებისათვის საჭირო ტეხნიკური პირობები, ისე აგრეთვე გათვალისწინებულია თვით არქივში მომუშავეთა ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სანიტარული და ჰიგიენური პირობებიც.

ამისდამიუხედავად კეთილმოწყობილ არქივებშიც აცილებული არ არის არქივების პროფესიული ავადმყოფობები, როგორიცაა მაგალითად, ჭლექი, კანის სნეულება, თვალისა და ჰაჭის ავადმყოფობა, და სხვა. ეს სნეულებები დღესაც საყოველთაოდ არქივის მუშაკის წილხვედრია და ისინი სამართლიანად არქივების პროფესიონალურ ავადმყოფობად ითვლებიან.

1925 წელს მოსკოვში შემოწმებულ იქნა არქივის 253 მუშაკი და აღმოჩნდა მათ შორის ავადმყოფი:

1) ჭლექით . . . . . 120 კაცი—47%
2) გულის გაგანიერებითა და მიაკორდიტით . . 52 კაცი—29%
3) ნერვებით (მძიმე ფორმაში) . . . . . 32 კაცი—10,5%
4) რევმატიზმითა და იშიაზით . . . . . 20 კაცი— 8%
5) ჰაჭებით . . . . . 12 კაცი— 4,5%
6) სისხლნაკლებობით . . . . . 52 კაცი—24%

თავისთავად ცხადია, რომ თუ მოსკოვში, სადაც საარქივო შრომის პირობები შედარებით კარგია, ასეთი ცუდი მდგომარეობა არის, პროვინციალურ არქივებში გაცილებით უფრო უარესი მდგომარეობა უნდა იყოს. და მართლაც იმავე წელს მოსკოვში მოწყობილ საარქივო მოღვაწეთა ყოილობისთვის მიწოდებულ ცნობებით, რუსეთის პროვინციის არქივებში ტუბერკულიოზი, ეკზემა, რევმატიზმი, თვალის ავადმყოფობა და სხვა კიდევ უფრო მეტად გავრცელებულია (Протоколы 1-го с'езда Архивных деятелей РСФСР, 1925 წ. გვ. 190).

საქართველოში საარქივო შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და არქივისტების ჯანმრთელობა ჯერ არავის გამოურკვევია, (თუ არ მივიღებთ მხედველობაში შრომის კომისარიატიდან ცენტრარქივის შემადგენლობით გამოგზავნილ სანიტარულ კომისიის დათვალიერებას, რომელსაც სრულიად არავითარი შედეგი არ მოჰყოლია), და ამიტომ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობა არის ჩვენში არქივისტების პროფესიონალურ სენით დაავადების მხრივ. მაგრამ a priori შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დაავადების პროცენტი ჩვენში გაცილებით უფრო მეტი იქნება, ვიდრე რუსეთში ან მით უფრო დას. ევროპის რომელიმე ქვეყანაში, ვინაიდგან ჩვენში საარქივო შრომის პირობები გაცილებით უფრო ცუდია, ვიდრე სადმე სხვაგან. ერთერთი უმთავრესი მიზეზი ამ გარემოებისა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს არც ცენტრში და არც მით უფრო პროვინციაში სრულიად არ მოიძებნება ისეთი არქივთსაცავი, რომელიც ოდნავ მაინც აკმაყოფილებდეს საარქივო შენობის თანამედროვე მოთხოვნილებას, არც მასალებისა და არც არქივში მომუშავის ჯანმრთელობის ინტერესის თვალსაზრისით. ძველ ხელისუფლებას ამისთვის სრულიად არ მოუცლია და საბჭოთა ხელისუფლებისთვის მას არ უანდერძებია არც ერთი არამც თუ სპეციალურად არქივისათვის გაკეთებული შენობა, არამედ შედარებითა ჯ გვარიანად მოწყობილი არქივთსაცავიც.

საქართველოს არქივთსაცავების 99% (თუ მეტი არა) მოთავსებულია ძველ შენობებში, რომელნიც პირველად სრულიად სხვა მიზნისათვის იყვნენ გაკეთებულნი და მხოლოდ შემდეგში გამოყენებულია არქივის საჭიროებისათვის. ასე, მაგალითად, ცენტრალურ არქივის მთავარ კორპუსში (ლენინის ქ. № 48) წინად კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო იყო მოთავსებული; მუნიციპალურ არქივის შენობაში (ჟუკოვის ქ. № 12) წინად საცხოვრებელი სახლი იყო; ბათომში არქივები სავაჭრო დარაბებშია მოთავსებული; ცენტრ არქივის ქუთაისის განყოფილება მოთავსებულია საოლქო სასამართლოს ოთახებში; ფოთში არქივს ალმასკომმა ქალაქის კომკი დაუთმო და ასე სხვა.

ამის გარდა საქართველოს არქივებში ანტისანიტარულ და ანტიჰიგიენური პირობების შექმნას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ თვით საარქივო მუშაობისათვის ჩვენში უფრო განსაკურთებული პირობებია, ვიდრე სხვაგან. ეს პირობები შედეგია მთელ რიგ გარემოებათა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს არქივის ცხოვრებაში პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით უკანასკნელ წლების სიგრძეზე. საქმე იმაში არის, რომ ჯერ კიდევ 1914—1915 წ.წ. საქართველოს ცენტრალურ დაწესებულებათა საარქივო ფონდების უმეტესი ნაწილი

ძველი ხელისუფლების მიერ, ევაკუაციის წესით, გატანილ იყო ჩრდილოეთ-კავკასიაში, სადაც შემდეგ წლებში სამოქალაქო ომის გამო მათ დიდი ზიანი მოუვიდათ: ზოგი სავსებით განადგურდა, ზოგიც სანახევროდ დაზიანდა. ცენტრარქივის მიერ 1921 წლის დეკრეტის თანახმად საარქივო განძების ცენტრალიზაციის დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში გატანილი მასალები დაბრუნდა საქართველოში (უკვე 1923 წ.) ამ არქივების უმეტესობა დღეს იმდენად მოწესრიგებულია, რომ ადვილად და დაუბრკოლებლად შეიძლება მათი გამოყენება, როგორც პრაქტიკულ, ისე აგრეთვე მეცნიერულ მიზნებისათვის. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი ხასიათის მუშაობა იყო საჭირო მათ გასარჩევად და მოსაწესრიგებლად. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ასეთი საარქივო ფონდების კლასიფიკაციის და ინვენტარიზაციის დროს სანიტარულ და ჰიგიენურ პირობების დაცვა ოდნავადაც შეუძლებელი იყო, ისიც ისეთ არქივთსაცავებში რომლებიც როგორც ნათქვამი იყო, თავის დანიშნულებას არ შეეფერებოდნენ. მოუწესრიგებელი და დაზიანებული საარქივო ფონდები საქართველოს არქივთსაცავებში დღესაც ბევრია და მათი დამუშავებისათვის დიდხანს მოუხდებათ ქართველ არქივისტებს ანტისანიტარულ და ანტიჰიგიენურ პირობებში მუშაობა.

რუსი არქივისტები სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე 1925 წელს სამართლიანად ჩიოდენ: „არქივისტების მუშაობა მიმდინარეობს სრულიად ანტისანიტარულ და ანტიჰგიენურ პირობებში,... ხშირად ცივ და ნესტიან ბნელ სარდაფებში. საარქივო საქმეები, რომელთაც ამუშავებენ არქივისტები, დაფარულია მტვერით. არქივის მომუშავენი ადრე თუ გვიან მსხვერპლნი არიან სხვადასხვა სენისა: ჭლექისა, ეგზემისა, რევმატიზმისა, თვალის ავადმყოფობათა და სხვა. ქართველ არქივისტებს კიდევ უფრო მეტი უფლება და საფუძველი აქვთ სთქვან,რომ მათ მუშაობა უხდებათ მეტად მძიმე პირობებში და რომ ამის გამო მათი ჯანმრთელობა მუდმივ საფრთხეს ქვეშ იმყოფება.

მაგრამ ამ ორ მიზეზის გარდა არის ერთი გარემოებაც, რომელიც არქივებისა და არქივისტების პროფესიონალურ ცხოვრებაში უარყოფითი ფაქტორს წარმოადგენს და, მაშასადამე, საარქივო შრომის პირობებსაც ამძიმებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არქივისტების ხელფასი საქართველოში. 1922 წელს საშუალო ხელფასი არქივისტისა საქართველოში შეადგენდა—15 მან. ხოლო 1923 წელს—25 მან. 1924 წელს—საშუალო ხელფასი გადიდებულ იქნა 30 მანეთამდე. ხოლო 1925 წ. 43 მანეთამდე. 1926 და 1927 წლებში იგივე ხელფასი შეადგენდა და დღესაც შეადგენს 63 მანეთს. მაქსიმალური ხელფასი მიმდინარე წელს ცენტრარქივში 80 მანეთს არ აღემატება, ხოლო მინიმალური 24 მანეთს

შეადგენს· რუსეთში (მოსკოვში) არქივისტის საშუალო ხელფასი 1922—1923 წლებში უდრიდა 55 მან. 1923—24 წლებში 88 მანეთს, 1924—25 წლებში—75 მანეთს, 1926—27 წლებში—105 მანეთს *) აზერბეიჯანში არქივარიუსის თანაშემწის ხელფასი ამ ჟამად შეადგენს 70 მანეთს, მაშინ როდესაც საქართველოში არქივარიუსი (არქივარიუსის თანაშემწის თანამდებობა არ არსებობს) ღებულობს არა უმეტეს 40 მანეთისა. არქივის მეცნიერი თანამშრომელი აზერბეიჯანში ღებულობს 125 მანეთს, ხოლო საქართველოში ასეთ თანამშრომლის ხელფასი 70 მანეთს არ აღემატება.

შედარება ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ საქართველოში არქივისტების მდგომარეობა ხელფასის მხრივაც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების არქივისტებთან შედარებით უარესია. ეს გარემოება აუცილებელს ხდის წამოყენებულ იქნეს საკითხი ქართველ არქივისტების შრომის პირობების შესწავლის შესახებ, მით უფრო, რომ ეს საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც დავინახეთ, არ შეიძლება ისე მწვავედ იდგეს სხვაგან როგორც ჩვენში, დიდი ხანია სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში შესწავლილი და მოგვარებულიც არის. ამ საკითხის შესწავლაში და მოგვარებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიონალურ ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით განათლების მუშაკთა პროფკავშირის სამეცნიერო მუშაკთა სექციამ, რომლის წევრებად ითვლება ცენტრარქივის თანამშრომელთა 30%.

სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა ყრილობამ ჯერ კიდევ 1925 წელს ამ საკითხის შესახებ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა 1-ლ ყრილობას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია მოახდინოს სათანადო მედიცინურ დაწესებულებათა მეთხებით საარქივო მუშაკთა შრომის პირობების შესწავლა, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, რათა შედეგების მიხედვით ცენტრარქივმა პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად მიიღოს სათანადო ზომები არქივის, ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებათა კათეგორიაში მისაკუთვნებლად.· საარქივო შრომის პირობების შესწავლის შედეგები ჩვენ ზემოდ გვქონდა მოყვანილი და ამ შედეგების მიხედვით, რამდენად ვიცით, ცენტრარქივმა ყრილობის რეზოლიუცია კიდევაც გაატარა ცხოვრებაში.

საჭირო არის ანალოგიური ზომების მიღება საქართველოშიაც რათა კანონმდებლობითი წესით საარქივო შრომა ჯანმრთელობისთვის მავნე შრომად იქნეს ცნობილი. ყოველ შემთხვევაში პირველ რიგში მოგვარებულ უნდა იქნას არქივისტების ჯამაგირის გადიდების საკითხი. ამ საკითხის უგულებელყოფა დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

*) ცნობები სხვა რესპუბლიკების შესახებ ავტორის პასუხისმგებლობით.

განათლების მუშაკთა სახლების მუშაობა.

განათლების მუშაკთა სახლების მუშაობის გამოცოცხლებას საკავშირო ორგანოებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ, ვინაიდან ჯერ კიდევ განათლების მუშაკთა სახლებში საკლუბო მუშაობა ძალიან მოისუსტებს. ძალიან მცირე პროცენტი განათლების მუშაკთა ჩაწერილია სახლის წევრებად. საილიუსტრაციოდ მოვიყვან ცნობებს განათლების მუშაკთა სახლების წევრობის შესახებ.

განათლების მუშაკთა სახლების წევრების შემადგენლობა 1/VII. 1927 წ.*)

	კლუბის წევრთა საერთო რიცხვი	მ ა თ შ ო რ ი ს													
		მასწავლებელი	ტექნ. პერსონალი	მოსწავლე	ოჯახის წევრი	მამაკაცი	დედაკაცი	ქართველი	სომხები	რუსი	თურქი	ებრაელი	ოსი	გერმანელი	ბერძენი
1. ტფილისის .	503	426	44	11	22	211	292	249	137	92	9	6	3	7	—
2. ქუთაისის . .	384	239	80	65	—	198	186	374	6	4	—	—	—	—	—
3. ბათუმის . .	312	265	47	—	—	171	141	168	18	77	12	15	—	—	22
4. ზუგდიდის	27	27	—	—	—	18	9	26	—	1	—	—	—	—	—
ჯ ა მ ი .	1226	957	171	76	22	598	628	817	161	174	21	21	3	7	22

*) ხაშურის და თელავის სახლების შესახებ ცნობები არ არის წარმოდგენილი.

განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად გონივრულ გართობა-დასვენებას ჯერ კიდევ არ აქვს მოპოვებული მკვიდრი ნიადაგი. განათლების მუშაკთა ზოგიერთ სახლებში ჯერ კიდევ არ არის შემოღებული გამგეობის წევრების სისტემატიური მორიგეობა და სხვა. საკლუბო მუშაობის შინაარსის რეალიზაცია განათლების მუშაკთა სახლის ყოველდღიურ საქმიანობაში ჯერ კიდევ მოითხოვს სისტემატიურ და ენერგიულ მუშაობას. განათლების მუშაკს გულწრფელად სურს მუშაობა განათლების მუშაკთა სახლში, მაგრამ აქტიურად, თვით მოქმედების ნიადაგზე საქმიანობა ამ სახლში მას ჯერ არ დაუწყია, მცირე გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. განათლების მუშაკთა სახლი განათლების მუშაკთ იმდენად აინტერესებს, რამდენად იქ ეწყობა საინტერესო მოხსენებები, წრეები და კინო-კონცერტები. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ განათლების მუშაკთა მასა არ არის საკმაოდ ჩაბმული განათლების მუშაკთა სახლის ყოველ დღიურ საქმიანობაში. საჭიროა, რომ განათლების მუშაკი შემოვიდეს განათლების მუშაკთა სახლში ისე, როგორც ის თავის ბინაში შედის დასასვენებლად, გასართობად და სამუშაოდ. ის ყურადღებით უნდა მოეპყრას განათლების მუშაკთა საზოგადოებრივობის ცენტრს და შეიტანოს იქ წარმოებულ მუშაობის გასაუმჯობესებლად თავის წვლილი. ასეთ პირობებში შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ განათლების მუშაკთა სახლში საკლუბო საფუძველზე მუშაობის წარმოება უზრუნველყოფილი იქნება.

განათლების მუშაკთა სახლის ყოველგვარ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სახლის გამგეობა—ის უნდა იყოს კოლექტიური ხელმძღვანელი. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი განათლების მუშაკთა მასასთან დაახლოება და მისი მოთხოვნის გაგება. ეს კი მოგვცემს საშუალებას საკლუბო მუშაობას მივცეთ სწორი გეზი და ყოველ დღიურ საქმიანობაში ნაკლები შეცდომები დაუშვათ. საკლუბო მუშაობის შინაარსი მოითხოვს, რომ განათლების მუშაკთა გონივრულ გართობა-დასვენების საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. განათლების მუშაკი უნდა მოდიოდეს განათლების მუშაკთა სახლში ხალისით, ის უნდა გრძნობდეს აქ სიმშვიდეს, საზოგადოებრივ მაჯის ცემას და ამხანაგურ, მეგობრულ განწყობილებას. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭიროა მასის მოთხოვნილებებთან შეფარდებული და მიზან შეწონილი საქმიანობა. ზოგიერთი ფიქრობს, რომ განათლების მუშაკთა სახლის საკლუბო საფუძველზე გადასვლით თითქოს იქიდან იდევნებოდეს პედაგოგიურ-საწარმო ხასიათის მუშაობა. ეს შემცდარი აზრია. განათლების მუშაკთ აინტერესებს სკოლის საკითხი და ამ უკანასკნელის ირგვლივ უნდა სწარმოებდეს თვით მოქმედების

საფუძველზე აგებული აქტიური მუშაობა. განათლების მუშაკთა სახლში მასწავლებლობას თავისუფლად და გაბედულად უნდა შეეძლოს საჭირბოროტო სასკოლო საკითხების გაშუქება, პირადი გამოცდილების გაზიარება სხვებისათვის, აქ უნდა მუშავდებოდეს პედაგოგიური აზრი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსიცოცხლო საწრეო „სწავლებას“ ადგილი დაეთმოს. საწრეო მუშაობის ჩარჩოები მეტად ვიწრო შეიქნა იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული ყოფილიყვნენ განათლების მუშაკთა სხვადასხვა ფენები. საწრეო მუშაობა „სწავლების“ მეთოდით ნაკლებად ანვითარებს თვითმოქმედებას, კვლევა ძიების და შემოქმედების უნარს. თანამედროვე სასკოლო განათლება მოითხოვს კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებს და ნამდვილ პედაგოგიურ საზოგადოებრივობის ცენტრების შექმნას განათლების მუშაკთა სახლებთან. მეორეს მხრივ არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ განათლების მუშაკთა სახლების მუშაობაში ნაკლებად არიან ჩაბმული პირველი საფეხურის მასწავლებლები, პოლიტ-საგანმანათებლო და სკოლის ასაკამდე მუშაკნი. ძალიან სუსტად—მეორე საფეხურის და მუშათა ფაკულტეტების მასწავლებლები. ყოველივე ამით აიხსნება ის გარემოება, რომ განათლების მუშაკთა სრულიად საკავშირო პირველმა კულტ-კონფერენციამ და—მეექვსე ყრილობამ სასურველად იცნო განათლების მუშაკთა სახლებში ახალი საორგანიზაციო ფორმების შემოღება—ასოციაციების სახით. ასოციაციები შეიძლება დაარსებულ იქნეს შემდეგი ხასიათის: პოლიტიკური საკითხების შესასწავლად, პედაგოგიური, პროფ-მოძრაობის, ლიტერატურული, ბუნების-მეტყველების, მხარეთ-მცოდნეობის, ფიზკულტურის, ჰადრაკის და სხვა. როგორ ეწყობა ასოციაციები და როგორი მიზნები აქვთ მათ დასახული? უპირველეს ყოვლისა ასოციაციები წარმოადგენს განათლების მუშაკთა სახლების წევრების თავისუფალ გაერთიანებას, რომლებიც ამა თუ იმ წარმოების დარგთან საერთო ინტერესებით არიან დაკავშირებულნი. განათლების მუშაკთა სახლის თითეულ წევრს შეუძლია გახდეს ასოციაციის წევრი, თუ კი მას აინტერესებს მისი მიზნები და ამოცანები. ასოციაციები განათლების მუშაკთა სახლის სამუშაო ჯგუფთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ეწევიან სხვადასხვა გვარ მასიურ მუშაობას: აწყობენ ლექციებს, მოხსენებებს, დისპუტებს, ექსკურსიებს, აქვეყნებენ ჟურნალ გაზეთებში თავიანთი მუშაობის შედეგებს და სხვა. ასოციაციების დაარსება შაბლონურად, ზევიდან, ყოვლად მიუღებელია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განათლების მუშაკნი გამოამჟღავნებენ სურვილს განათლების მუშაკთა სახლში გაერთიანებათა ორგანიზაციისას, ამასთან ერთად თუ ასოციაციები უზრუნველყოფილი იქნებიან საზოგადოებრივი მუშაკების კვალიფიციური

ხელმძღვანელობით, — მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ასოციაციების დაარსება.

ასოციაციების დაარსება დიდი სიფრთხილით და წინასწარ გათვალისწინებულ გეგმის მიხედვით უნდა სწარმოებდეს, ვინაიდან ასოციაციები—მუშაობის ახალი ფორმაა და არც გამოცდილება გვაქვს ამ დარგში. ასოციაციები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ის არ გადაიქცეს უსიცოცხლო, „ცეხურ“ ორგანიზაციად. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ასოციაციების საერთო ხელმძღვანელობას დაიკისრებს განათლების მუშაკთა სახლის გამგეობა. სათანადოდ მოწყობილი ასოციაციები საუკეთესო ფორმაა განათლების მუშაკთა სხვადასხვა ფენების კულტ-მუშაობაში ჩასაბმელად. ამიტომ საჭიროა, რომ ასოციაციების მოწყობას საკავშირო ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ ასოციაციების ორგანიზაციას და მათი მუშაობის გაძლიერებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლად არჩეული განათლების მუშაკთა სახლების გამგეობები გამოიჩენენ დიდ ინიციატივას, რომ გააძლიერონ საკლუბო მუშაობის სხვადასხვა სახეობანი და მით განათლების მუშაკთა სახლებში შექმნან განათლების მუშაკთა საზოგადოებრივ ცხოვრების ცენტრები.

პ. ჯანიშვილი.

თვითგანვითარებისათვის.

ცხოვრება წინ მიდის აჩქარებული ტემპით. ადამიანის აზრისა და გონების მიღწევებს საზღვარი არა აქვს, ის შეუჩერებლივ მუშაობს, ვითარდება და ყოველ დღე მდიდრდება ახალი აღმოჩენით, ახალი გამოგონებით მეცნიერებისა და ტეხნიკის სხვადასხვა დარგში. ასეთ პირობებში ყოველი შეგნებული ადამიანი იძულებული ხდება **გააღრმაოს** და **შეივსოს** ის ცოდნა, რომელიც მან სკოლაში მიიღო. ვინაც სკოლის გათავებასთან ერთად კავშირი გასწყვიტა წიგნებთან, ის ემატება ჩამორჩენილთა და უმეცართა რიგებს. ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონი: **ვინც წინ არ მიდის, ის უკან რჩება.**

ჩვენი დრო და მდგომარეობა დიდ მოთხოვნილებას უყენებს საბჭოთა აქტიურ მოქალაქეს: ის თავისუფლად უნდა ერკვეოდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში და ადვილად შეეძლოს მტერისა და მოყვრის გარჩევა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველი მოქალაქე თავისუფალ

დროს მოანდომებს თვითგანვითარებას. ვინც მუდამ არ სწავლობს, ვინც ყოველ დღე ახალს არ იძენს და ძველს არ აღრმავებს, ის მალე გახდება ცხოვრების მაჩანჩალა.

მაგრამ შეიძლება თუ არა თვითგანვითარების გზით, საკუთარი მეცადინეობით, ბევრ რასმე მიაღწიოს ადამიანმა? სამწუხაროდ ამ საკითხის შესახებ არსებობს ერთგვარი ცრუმორწმუნეობა: ბევრსა ჰგონია და დარწმუნებულია, რომ ცოდნის შეძენა და განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სკოლის საშუალებით. ეს მეტისმეტად მავნე ცრუმორწმუნებაა, ვინაიდან ვინც ამაში დაჯერებულია, ის არც კი მოჰკიდებს ხელს თვითგანვითარებას.

თანამედროვე ყოველდღიური სინამდვილე აშკარად ღაღადებს ამ შეხედულების წინააღმდეგ. არც ერთი მეცნიერი, არც ერთი საზოგადო მოღვაწე და არც ერთი სერიოზული შეგნებული პიროვნება არ არის ისეთი, რომელსაც არ შეევსოს და არ გაეღრმავებოს სკოლაში შეძენილი ცოდნა. მარქსი, ენგელსი, ლენინი და მრავალი სხვა ისტორიული პირები გახდნენ მათი თანამედროვე კაცობრიობის წინამძღოლებად და საუკეთესო მომავლის წინამორბედებად, რასაკვირველია, არა მარტო იმ ცოდნის საშუალებით, რომელიც მათ გამოიტანეს სასწავლებლებიდან. კიდევ მეტი: მთელ ქვეყანაზე განთქმული, შრომისა და ცოდნის გენიოსად წოდებული ედისონი, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, სულ რამდენიმე თვე ყოფილა პირველდაწყებით სკოლაში. 12 წლის ედისონი იძულებულია საკუთარი შრომით ირჩინოს თავი: ის გაზეთებს ჰყიდდა მატარებელში და ამავე დროს მეცადინეობდა, სწავლობდა თვითონ, სკოლისა და მასწავლებლის დაუხმარებლად. ამასთანავე უნდა იცოდეთ, რომ ედისონი 12 წლისა იყო, როცა დაყრუვდა; მაშასადამე გაკვეთილებსა და ლექციებს ის ვეღარ მოისმენდა, კიდევაც რომ მოესურვებია. მოუსმინეთ და დაუჯერეთ ამ დიდ ადამიანს, ვინაიდან ცოცხალთა შორის მას ყველაზე მეტი გამოცდილება აქვს თვით განვითარების საქმეში. აი რასა სწერს ის თავის თავზე: „მე სმენა დავკარგე დაბადებიდან 12 წლისამ. იმ დროს მეგაზეთედ ვიყავ ერთ-ერთ რკინის გზაზე". ერთხელ ედისონი ვაგონთან იდგა. ვიღაც კონდუქტორმა „ხუმრობით" ჩაავლო ყურებში ხელი პატარა ედისონს და ვაგონის ბაქანზე შესვა. ამის გამო ყურები ასტკივდა და სამუდამოდ დაყრუვდა. „უნდა მოგახსენოთო, განაგრძობს ედისონი, რომ მე არ მიმიღია თითქმის არავითარი სასკოლო განათლება და ყოველივე ის გამოუკლებლივ, რაც შევისწავლე, შევიძინე კითხვის საშუალებით, თითქმის გარეშე ყოველივე დახმარებისაო"!..

„ნუ გგონიათ, რომ სიყრუეს შეუძლია ხელი შეუშალოს განათლებას. ჩვენ დროში წიგნები და კინემატოგრაფი ყველას აძლევს შესაძლებლობას მშვენიერი განათლება მიიღოსო". [1])

ამის შემდეგ ეჭვიც კი არავის დაებადება იმაში, რომ თვითგანვითარების გზით შეიძლება ბეჯითმა ადამიანმა მიაღწიოს მეცნიერების მწვერვალებს.

რასაკვირველია, ედისონები გამონაკლისს და იშვიათ მოვლენას შეადგენენ; მაგრამ რომ სკოლაში მიღებული ცოდნა არ დაივიწყოს და, პირიქით, გაიფართოვოს და გააღრმავოს იმდენად, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩეს და იდგეს თანამედროვეობის სიმაღლეზე—ეს უეჭველად ყოველ ნორმალურ ადამიანს შეუძლია წიგნების, ჟურნალ-გაზეთების კითხვის საშუალებით.

განათლების მუშაკნი განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით ამ მხრით. საკმაოდ მომზადებული მასწავლებლებით არც ძველი სკოლა იყო მდიდარი, მაგრამ ახალი სკოლა გაცილებით უფრო ღარიბია ამ მხრით. საბჭოთა შრომის სკოლებში ძლიერ ბევრია მოუმზადებელი მასწავლებლები.

რა ეშველებათ მათ? ახალი სკოლის მშენებლობა და სახალხო განათლების საქმე შორს ვერ წავა ამათი წყალობით. საქმე რომ ათეულებს შეეხებოდეს, შეიძლებოდა მათი უკეთესებით შეცვლა. მაგრამ აქ ხომ ათასებთანა გვაქვს საქმე. თანაც კიდევ ახალი ათასებია საჭირო საყოველთაო განათლების შემოსაღებად. ჩვენი პედტეხნიკუმები ამ ახალ მოთხოვნილებასაც ვერ დააკმაყოფილებს.

დაგვრჩენია ერთად-ერთი გზა, გზა მასწავლებელთა გადამზადებისა და თვითგადამზადებისა. **სისტემატიური მუშაობა თვითგანვითარებასა და თვითგადამზადებაზე**—აი რა უნდა დაისახოს მიზნად მასწავლებლობამ. სახელმწიფომ, საზოგადოებამ, კავშირმა უნდა დაეხმაროს მასწავლებლობას ამ დიდ საქმეში, გაუწიოს ხელმძღვანელობა, მიაწოდოს საჭირო ლიტერატურა.

კერძოთ ჩვენი ჟურნალის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს განათლების მუშაკთა თვითგანვითარებას, მათ გათვითცნობიერებას და მათ კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით ჟურნალში სისტემატიურად მოვათავსებთ თვითგანვითარებისათვის სახელმძღვანელო მეთოდიურ წერილებს, სათვითგანვითარებო მუშაობის გეგმებს, შესასწავლ თემებს და ბიბლიოგრაფიულ ცნობებს თვითგანვითარებისათვის საჭირო წიგნების შესახებ. ამხანაგებმა უნდა მომართონ რედაქციას თვითგანვითარებასთან დაკავშირებული კითხვებით. რედაქცია პასუხს გასცემს ყოველგვარ შეკითხვებზე და მისცემს მსურველებს საჭირო რჩევა-დარიგებას.

---

[1]) ეს ამონაწერი მომყავს თვით ედისონის წერილიდან, რომელიც დართული აქვს პროფ. პ. გ. მიქუვეის წიგნს: „Томас Эдисон, его жизнь и достижения". ლენინგრადი 1926 წ. 128—133 გვ.

ქალაქის ადგილკომებთან არსებულ კულტკომისიების დებულების პროექტი.

ქალაქის ადგილკომებთან არსებულ კულტკომისიების ეს პროექტი დაეგზავნა ყველა სამ. განყ. და ქალ. ტფილისის ადგილკომებს. აღნიშნული პროექტი უნდა განიხილონ სამ. განყოფილებებმა და ქალ. ადგილკომებთან არსებულმა კულტკომისიებმა და თავიანთი შენიშვნები გამოგზავნონ ჯან. კავშირის ც. გამგეობაში 1 ნოემბრამდე.

1. კულტკომისიის მთავარ ამოცანას შეადგენს განათლების მუშაკთა კომუნისტური აღზრდა-განათლება და მათი ჩაბმა საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით ადგილკომი აწარმოებს თავის კოლექტივის პოლიტიკურ, საწარმოო და პროფესიონალურ საგანმანათლებლო მუშაობას და განათლ. მუშაკთა მოთხოვნილებათა აღნუსხვის საფუძველზე აწყობს მათ განათლება-დასვენების საქმეს.

2. ზემოაღნიშნულ ამოცანების განსახორციელებლად ადგილკომი ირჩევს კულტკომისიას, რომლის მიზანს შეადგენს:

ა) მიაწოდოს კოლექტივს ინფორმაცია კავშირის კულტმუშაობის მორიგ ამოცანების შესახებ;

ბ) განათლების მუშაკთა კულტმოთხოვნილებათა აღნუსხვის ორგანიზაცია მკითხველის შესწავლისათვის შემოღებულ ფორმებისა, კედლის გაზეთებში მოთავსებულ წერილებისა, კამათისა, ცალკე მოხსენებებზე შენიშვნებისა, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების გზით და სხვ.

გ) კოლექტივის წევრთა საზოგადოებრივ მუშაობაში (წითელ არმიაზე შეფობა, მუშათა კლუბი, კოოპერაცია, გლეხთა სახლი და სხვ.) ჩაბმა, საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულ განათლების მუშაკისათვის დახმარების გაწევა (ლიტერატურის შერჩევა, მათთვის საინტერესო მასალების მინდობა, გამოცდილების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა; მიღწევების გაშუქება პრესაში და სხვა).

დ) მიმდინარე პოლიტიკურ მომენტთან და მორიგ ამოცანებთან დაკავშირებით სათანადო საკითხებზე მოხსენებათა დასმა-წაკითხვა კოლექტივის საერთო კრებაზე, ორგანიზაცია ცალკე საკითხების დამუშავებისა უფრო საფუძვლიან ფორმებში.

ე) პროფპროპაგანდის დარგში ორგანიზაცია დისპუტები'ა, მოხსენებათა, კითხვა-საუბრის, საწრეო მუშაობისა და აგრეთვე დახმარების გაწევა ინდივიდუალურ მუშაობისათვის, საკავშირო ყრილობათა, კონფერენციებისა, პლენუმებისა და თათბირების დადგენილებათა დამუშავება.

ვ) „განათლების მუშაკის კუთხის“ ორგანიზაცია; როგორც საკავშირო კულტმუშაობის ადგილობრივ ბაზისა და ხელმძღვანელობის გაწევა მისი მუშაობისათვის.

ზ) კავშირის გაბმა გ. მ. სახლთან გამოყოფილ რწმუნებულთა მეშვეობით კოლექტივის წევრ-განათლების მუშაკთა ჩაბმა გ. მ. ს. წევრებად.

თ) კოლექტივის წევრთა ჩაბმა სათვითგანვითარებო მუშაობაში, მათი გაცნობა კავშირის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებთან, რაც ეწყობა სათვითგანვითარებო მუშაობაში ჩაბმულ განათლების მუშაკთათვის, პროგრამების და ბიბლიოგრაფიული მასალების დამუშავება, საკონსულტაციო ცნობების მოწყობა, არა უშუალო (заочное) სწავლების პირობების გაცნობა და სხვა.

ი) ისეთ ღონისძიებათა ორგანიზაცია, რაც ხელს შეუწყობს განათლების მუშაკთ ისარგებლონ ლიტერატურით. ამ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელია მოძრავ ბიბლიოთეკათა და კოლექტიურ აბონემენტის მოწყობის გზით, ორგანიზაცია წიგნებით სარგებლობისა, მისი აღრიცხვა, დაწესება წიგნების გაცემის ვადისა, წიგნებით სარგებლობის პირობების განსაზღვრა, საკავშირო ბიბლიოთეკათა შევსებაში მონაწილეობის მიღება.

კ) კოლექტივისათვის ინფორმაციის მიწოდება პერიოდულ გამოცემებზე (კერძოდ საკავშირო პრესის შესახებ, როგორიცაა—**განათლების მუშაკი** (ქართულ ენაზე), „უჩიტელსკაია გაზეტა“, „რაბოტნიკ პროსვეშჩენია“, „ნაროდნი უჩიტელ“ და სხვა გამომცემლობა „რაბოტნიკ პროსვეშჩენიას“ არა პერიოდულ პროდუქციის შესახებ); ხელის შეწყობა ლიტერატურის გავრცელებისათვის, ხელის მოწერის ორგანიზაცია.

ლ) კოლექტივის ხელთაწერ ან მანქანაზე დაბეჭდილ ჟურნალის გამოცემა კოლექტივის წევრთათვის ინფორმაციის მიწოდება მარშრუტების, მისი პირობების შესახებ. სპეციალურ თანხების მომარაგება საექსკურსიო მიზნებისათვის.

მ) ფიზკულტურის იდეის პოპულარიზაცია, მიღებულ გამოცდილებათა გავრცელება ფიზკულტურის ელემენტარულ ვარჯიშობათა სწორად გამოყენებისათვის.

ნ) ამხანაგურ საღამოების ორგანიზაცია, ამ საღამოებზე განათლების მუშაკთა გამოსვლების მოწყობა თვითმოქმედების საფუძვლებზე, სეირნობისა და სხვადასხვა სახის გართობა-დასვენების ორგანიზაცია.

ო) რადიო-მოყვარულთა წრისათვის ხელის შეწყობა, განათლების მუშაკთათვის დახმარების გაწევა რადიო-მოწყობილობათა შესაძენად შეღავათიან პირობებში და სხვა.

პ) ტეხნიკურ თანამშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მათ შორის საერთო განათლების საქმის დაყენება, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის მასალების გავრცელება (ტეხნიკურ თანამშრომელთა ფურცელი, „საუბრები“, პროფესიონალური ხასიათის თემებზე).

რ) კულტდახმარების გაწევა შესაძლებლობის ფარგლებში კოლექტივის წევრ განათლების მუშაკთა ოჯახის წევრთათვის.

2. კულტურ. კომისიების ორგანიზაცია და შემადგენლობა.

1. კულტკომისია ეწყობა ადგილკომის (გაერთიანებულ ადგილკომის) მიერ თავის კოლექტივის წევრებისაგან პერსონალურ შერჩევის გზით და მუშაობს ადგილკომის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ; კულტკომისია პასუხისმგებელია ადგილკომის წინაშე, ურდგენს მას მუშაობის გეგმას, ხარჯთ-აღრიცხვას, სხდომის ოქმებს.

კულტკომისიის თავმჯდომარედ გამოიყოფა ადგილკომის ერთ-ერთი წევრი.

2. კულტკომისიის რწმუნებულობის ვადა განისაზღვრება ადგილკომის რწმუნებულის ვადით.

3. კულტკომისია სამუშაო გეგმის ფარგლებში ანაწილებს წევრთა შორის სამუშაოს (თავმჯდომარე, მდივანი, მომუშავე თვითგანვითარების დარგში, საბიბლიოთეკო მუშაობა, გ. მ. ს. რწმუნებული, კედლის გაზეთის სარ. კოლეგიის თავმჯდომარე, საშეფო მუშაობა და სხვა). და აწყობს შეძლებისდაგვარად დროებით და მუდმივ ქვე-კომისიებს.

4. კულტკომისია იზიდავს თავის კოლექტივის წევრებს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

5. კულტკომისია იკრიბება ერთჯერ მაინც თვეში იმ სამუშაოების შესათანხმებლად, რომელიც დავალებული აქვს მის თვითეულ წევრს; ისმენს მოხსენებებს, იხილავს გეგმებს და არკვევს მისი მუშაობის მორიგ საკითხებს.

შენიშვნა: 1-ლი: კულტკომისიის სხდომები ეწყობა არა სამუშაო დროს.

„ „ 2-რე: კულტკომისიაში მუშაობისათვის წევრები გასამრჯელოს არ იღებენ.

„ „ 3-ე: კულტკომისია ადგენს სხდომების ოქმებს.

3. კულტკომისიის სახსრები.

1. სახსარი, რომელსაც იძლევა ადგილკომი კულტმუშაობისათვის შესდგება:

ა) კოლხელშეკრულების მიხედვით ანარიცხებისა და სამეურნეო ორგანოების სხვა ასიგნობებისაგან;

ბ) 50% იმ ერთპროცენტიდან, რომელსაც თვის შესანახავად ღებულობს ადგილკომი.

გ) შემდგომ საკავშირო ორგანოების დოტაციისა და სხვა შემოსავლისაგან.

2. კულტკომისია ადგენს შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელსაც ამტკიცებს ადგილკომი და შეაქვს იგი თავის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში.

3. გაწეულ ხარჯების ანგარიშს კულტკომისია უდგენს ადგილკომს.

ი. ა. არიამოვი.

წერა-კითხვის სწავლების მეთოდები

თანამედროვე პედაგოგიკის ერთ უძნელეს და საინტერესო პრობლემად ითვლება საკითხი წერა-კითხვის სწავლების მეთოდების შესახებ. ამ საკითხზე უკვე დიდი ხანია—არა ნაკლებ 400 წლისა—რაც თავს იმტვრევენ საუკეთესო პედაგოგები. მაგრამ „ურემი ისევ იქა სდგას“, ეხლაც ეს საკითხი ისევ აქტუალურია, ეხლაც არსებობს და პრაქტიკაში ტარდება წერა-კითხვის სწავლების მრავალი მეთოდები: ბგერითი, ანბანური (буквослагательный), სილაბიური, ამერიკული მეთოდი მთელი სიტყვებისა, ანალიტურ-სინთეტიური და სხ.; ამ მეთოდების შედარებითი ღირსება-ნაკლულოვანების შესახებ დღესაც დავაა მეთოდიურ ლიტერატურაში (ათანასიევი, შაპოშნიკოვი და სხ.).

ჩემს მიზანს ეხლა არ შეადგენს დაწვრილებით რეფლექსოლოგიური გარჩევა ყოველი არსებული მეთოდისა ცალკე. ამიტომ დავკმაყოფილდები მხოლოდ იმით, რომ მოვიყვან რეფლექსოლოგიურ საფუძვლებს იმისა, თუ როგორ უნდა მიდგომა ამ მეთოდების შეფასებას.

ჯერ რამოდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ იმ ასაკის თავისებურობას, როცა ჩვენი ბავშები წერა-კითხვას ეცნობიან, ე. ი. 7—9 წლის ასაკისა.

იმ ექსპერიმენტალურად დამტკიცებულ ფაქტების მიხედვით, რომელიც დღეს საბავშო ასაკის რეფლექსოლოგიის განკარგულებაშია, შეგვიძლია გარკვევითა ვსთქვათ, რომ 5—6 წლის დათავებისას, ე, ი. სასკოლო ასაკის დაწყების წინ საკმაოდ მნიშვნელოვანია ნიჭი გარჩევა-დიფერენციაციისა, ნიჭი ანალიზისა და ამავე დროს სინთეზის ნიჭი ჯერ კიდევ ძლიერ სუსტია.

ასეთ შედეგებს იძლევა, მაგალითად, ცდები გამოცნობისა და გარჩევის.

ბავშს აჩვენებენ რაიმე საგნის მოხაზულობას, ჯერ სულ უბრალოს და მარტივს, შემდეგ უფრო სრულს, შემდეგ კიდევ უფრო სრულს და ასე მანამდე,

სანამ ბავში არ **გამოიცნობს** საგანს, ე. ი. სანამ არ შეაერთებს, სანამ სინთეზს არ გაუკეთებს ამ საგნისაგან წინად მიღებულ გაღიზიანებათა ნაკვალევს.

შემდეგ აჩვენებენ სურათებს, რომელნიც წარმოადგენენ ერთდაიმავე საგანს, მაგრამ ზოგიერთი ცვლილებებით და ეს **ცვლილებები უნდა შენიშნოს,** ე. ი. უნდა მოახერხოს გარკვევით გამოყოფა რთულ გამღიზიანებელის ცალკე ნიშნებისა, ცალკე ელემენტების.

გამოირკვა, რომ ბავშებს სასკოლო ასაკის წინ გაცილებით უფრო უჭირთ ცნობა, ვინემ დეტალებში განსხვავების **შენიშვნა**. სახელდობრ, ყველა ნაჩვენებ მოხაზულობათაგან ბავშები შეუცდომლად გმოიცნობენ მხოლოდ 25—30 %, მაგრამ **კარგად შენიშნავენ** სურათებში მომხდარ ცვლილებათა 90%, და ისიც ისეთ სურათებში რომლის აზრი ბავშებს არ ესმით.

რაც შეეხება სასკოლო ასაკს (7—9 წ.), უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასაკი არის სკოლის წინა ასაკის პირდაპირი გაგრძელება, ე. ი. გრძელდება ანალიზიტური მოქმედება, კარგად გარჩეულ (დიფერენცია) ცოდნათა დაგროვება და ამავე დროს სასკოლო ასაკს ახასიათებს ინტეგრაციის (შერჩევითი განზოგადების) დასაწყისი, სინტეზი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ვრცელი, საკმაოდ განყენებული.

ეს რამოდენიმე ფაქტი უკვე ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ „წმინდა ბგერათა შეერთების“ პროცესი, პროცესი სინტეზისა ჯერ კიდევ ძალიან ძნელია ბავშებისთვის და, პირიქით, წინადადების ანალიზი, სიტყვის დანაწილება ბგერითი ელემენტებად, გარჩევა ამ ელემენტებისა ყველაზე უფრო მისაწდომია ამ ასაკის ბავშებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ბევრი მეთოდისტისათვის ჯერ კიდევ გაუგებარი მოვლენა, რომ წერა-კითხვის სწავლება ზოგჯერ წარმატებით მიდის ისეთი „დახავსებული“ მეთოდებითაც, როგორიცაა „დავითნით“ სწავლება ან სწავლება ძველი ანბანით, რომელიც მოითხოვს აუარებელ უაზრო მარცვლების დამახსოვრებას. ეს იმით აიხსნება, რომ ბავში, თუმცა მას არ ესმის რასაც წარმოსთქვამს (მარცვლები), მაგრამ არჩევს ცვლილებას ბგერებში, როგორც ეს ზევით იყო აღნიშნული.

ამრიგად **წერა-კითხვის სწავლება უნდა დავიწყოთ არა სინტეზიდან, არამედ ანალიზიდან,** ვინაიდან ამ გზით შეიძლება სიტყვის დანაწილება მის შემადგენელ ელემენტებად ისე, რომ ბავშს ესმოდეს და არჩევდეს ამ ელემენტ-ბგერებს; და რადგანაც გამოყოფილი ბგერები იმავე დროს უკავშირდება განსაზღვრულ ნიშნებს, ასოებს, ამიტომ ასეთ პროცესს, რომელიც თავის ბუნებით წარმოადგენს პირობითი რეფლექსების წარმოშობის პროცესს, შედეგად მოჰყვება

ის, რომ ბავში აღწევს აქნამდე გაუგებარ „ბგერათა შეერთების საიდუმლოებას“: განსაზღვრული რიგი ასო-ნიშნებისა (მხედველობის გამღიზიანებელთა) იწვევს შესაფერ რიგს მეტყველების რეფლექსისა, წარმოთქმას ბგერათა განსაზღვრული კომპლექსის და შედეგად ვღებულობთ სინტეზის პროცესს, კითხვის პროცესს.

ამ პროცესის წარმატებისა და ჩქარი განვითარებისათვის აუცილებელია მხოლოდ, რომ მხედველების გაღიზიანება იმდენჯერ გადაბათ, დაუკავშიროთ სმენის გაღიზიანებას, რამდენჯერაც ეს საჭიროა და გაამეორებინოთ ბავშს თავის პირით ეს სმენის გაღიზიანებანი.

ყოველივე ეს ჩვენ გვაიძულებს, რომ **წერა-კითხვის სწავლების ყველაზე უფრო სწორ მეთოდად ჩავთვალოთ ანალტიური-სინთეტიური მეთოდი.**

რა ფორმით სჯობია მისი გამოყენება?

ცხადია, ყველაზე უკეთესი იქნება მთლიანი სიტყვების მეთოდით სარგებლობა, მაგრამ არა მისი წმინდა ამერიკული სახით.

მთელი სიტყვები, ეგრედ წოდებული „ნორმალური“ სიტყვები, წინააღმდეგ უაზრო მარცვლებისა და ბგერათა სხვა კომპლექსების დაზეპირების, გასაგებია ბავშებისათვის და წარმოშობს მათში საკმაოდ ნათელ და ხანგრძლივ დომინანტებს, იზიდავს მის ყურადღებას, იმიტომ რომ ეს ახალი მხედველობითი გაღიზიანებანი გადაებმებიან სმენის შესაფერ გაღიზიანებებს, რომელთაც უკვე მტკიცე კვალი დაუტოვებიათ ბავშის ტვინში (ნაცნობია მისთვის): მისთვის შესაძლებელი ხდება წაიკითხოს ის, რაც ნაცნობია და ეს კი იწვევს გარკვეულ ინტერესს. მთლიანი სიტყვა, რომელისკენაც მიაქცევენ ბავშის ყურადღებას, არის რთული გამღიზიანებელი, შემდგარი რამოდენიმე სხვადასხვანაირი ელემენტებისაგან. ეს სხვადასხვაობა შეიძლება თავსთებოდეს ერთი ანალიზატორის (მიმღები აპარატის, თვალის ან ყურის) ფარგლებში, მაგ. მსმენელობითი ანალიზატორის ფარგლებში—სიტყვის წარმოთქმის დროს,--და მაშინ ეს იქნება ერთგვარი რთული გამღიზიანებელი; ან და შეიძლება ერთდაიმავე დროს მონაწილეობას ღებულობდეს სხვადასხვა ანალიზატორები; ეს მაშინ, როცა არა მარტო წარმოთქვამენ სიტყვას, არამედ აჩვენებენ მის გამოხატულებას (დაწერილ სიტყვას) და ბავშები თვითონ გამოხატავენ მას დაბეჭდილი ასოებით; ეს იქნება სხვადასხვაგვარი რთული გამღიზიანებელი.

რეფლექსოლოგიის განკარგულებაში არსებული ექსპერიმენტალური ფაქტები გვიჩვენებს, რომ რთულ გამღიზიანებელზე პირობითი რეფლექსების შემუშავება ადვილად სწარმოებს.

მაგრამ ამავე დროს მეღავნდება, რომ ასეთი რთული რეფლექსების წარმოშობის დასაწყისში ვღებულობთ რეფლექსებს იმ ცალკე ელემენტებზედაც,

რომელნიც შეადგენენ ამ რთულ გამღიზიანებელს, მაგრამ ისინია მხოლოდ უფრო სუსტი გამღიზიანებლები, ვინემ მთელი რთული გამღიზიანებელი; დიფერენციაციის დასასრულს კი (როდესაც ამ რთულ გამღიზიანებელს აღარ ურევენ სხვებში, რომელიც ცოტად თუ ბევრად მასა ჰგავს) რეფლექსები ცალკე ელემენტებზე შეკავებულია (დამუხრუჭებულია).

ამის გამო ამერიკული წმიდად დაცული მეთოდი მთელი სიტყვებისა ხშირად არ იძლევა საჭირო შედეგებს, რასაც უკანასკნელ დროს აღნიშნავენ თვით ამერიკელებიცა და ამ მეთოდის მიმდევარი რუსი პედაგოგებიც. ერთნაცა და მეორენიც აღნიშნავენ, რომ შედეგი ზოგჯერ მეტად სამწუხარო გამოდის და ბავშები ასეთი მეთოდის წყალობით დიდი გაჭირვებით ერევიან წერა-კითხვას, ვინაიდან ყველა სიტყვების დამახსოვრება შეუძლებელია; ამ სიტყვების ცალკე ელემენტების გამოყოფვა და შემდეგ ამ ელემენტებისაგან ახალი სიტყვების შედგენა მათ არ იციან.

მაშ როგორ ღა მოვიქცეთ? ზემოდ აღნიშნული ექსპერიმენტები შესახებ პირობითი რეფლექსების გამომუშავებისა რთულ გამღიზიანებლებზე გვაძლევს შესაძლებლობას აქაც ვიპოვოთ სწორი გამოსავალი. ამ ცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ თუ სუსტ გამღიზიანებლებს გავსინჯავთ ცალკე და დავეხმარებით მათ, გავამაგრებთ, მაშინ ისინი გადაიქცევიან ძლიერ გამღიზიანებლებად. და როცა ამ გამაგრებულ ცალკე ნაწილებისაგან შევადგენთ ისევ მთელ რთულ გამღიზიანებელს, მაშინ „ადგილი აქვს მკაფიოდ გამოხატულ სუმაციას", ე. ი. ეს რთული გამღიზიანებელი ხდება უფრო მტკიცე და სწორი, ვინემ უწინ იყო.

მაშასადამე აღებული სიტყვა—გამღიზიანებელი, მას შემდეგ, რაც ბავშები შეეჩვევნენ მის გამოცნობას, უნდა დავშალოთ შემადგენელ ნაწილებად და შევქნათ მტკიცე პირობითი რეფლექსი ყოველ ამ ნაწილზე, ე. ი. უნდა მოვახდინოთ ანალიზი აღებულ სიტყვის.

ცხოვრებამ, მართლადაც, აიძულა თვით ამერიკელი მასწავლებლები, რომელნიც მთლიანი სიტყვების მეთოდით სარგებლობდენ, მეცადინეობის დაწყებიდან რამოდენიმე ხნის შემდეგ მიემართად ფონეტიკური ვარჯიშობისათვის, რომელიც ხელს უწყობს ბავშებს ახალი სიტყვების ცნობაში, წაკითხვაში. ასეთსავე აუცილებლობამდე თანდათან მივიდენ ის რუსი ავტორები, რომელნიც ამერიკულ მეთოდით ადგენდენ ანბანის შესასწავლ სახელმძღვანელოებს.

ჩვენ ვილაპარაკეთ **ერთგვარ** რთულ გამღიზიანებლებზე, ე ი. ერთი ანალიზატორის (გრძნობის ორგანოს) ფარგლებში მოქცეულ გამღიზიანებელ ელემენტების ჯამზე, მაგრამ პრაქტიკაში ჩვეულებრივად ბავშებს ხომ არა მარტო ეუბნებიან

სიტყვებს და შემდეგ იწყებენ ფონეტიკურ ვარჯიშობას ანალიზში და სინტეზში, არამედ აჩვენებენ სიტყვების გამოხატულებას განსაზღვრული ასოების რიგით, ბავშები ღვითონ გამოხატავენ ამ სიტყვებსა და ასოებს და სხ. აქ საქმე გვაქვს არა ერთგვარ, არამედ მრავალგვარ რთულ გამღიზიანებელთან, და რეფლექსოლოგია გარკვევით ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ანალიზატორების მიერ ისეთი გაღიზიანების მიღება, რომელიც დაკავშირებულია ერთ დომინანტასან გაღიზიანების ერთ გაბატონებულ კერასან, ბავშის ტვინში მტკიცედ აკავშირებს ურთიერთშორის ამ სხვადასხვანაირ გაღიზიანებებს და ჰქმნის მათგან ერთი მეორეს გამმაგრებელ გამღიზიანებელთა მტკიცე კომპლექსს.

აი რით აიხსნება ის მოვლენა, რომ თუ ბავშმა კარგად შეითვისა რომელიმე სიტყვა მას შემდეგ რაც მას მხოლოდ რამოდენიმეჯერ დაუსახელეს ის, კიდევ უკეთესად შეითვისებს მას, თუ დაინახავს ამ სიტყვის გამოხატულებას და კიდევ უფრო კარგად შეითვისებს, თუ თვითონ შეადგენს ამ სიტყვას მოძრავი ასოებისაგან, დასწერს, ამავე ბეჭდური ნიშნებით.

ამ დროს, საერთოდ, ყველა დამხმარე საშუალება, რომელიც კი ხელს უწყობს სხვადასხვა გამღიზიანებელთა ასეთ შეერთებას, ურთიერთ გაძლიერებას და დომინანტის გამტკიცება — გამაგრებას, რომელიც მათ აერთიანებს, რასაკვირველია, მეტად საჭიროა და ღირებული წერა-კითხვის სწვლების პროცესში. ასეთ საჭირო და სასარგებლო საშუალებას წარმოადგენს დაჭრილი ასოებიც, პლაკატიც, ასოების თითით შემოყოლება, მათი დაწერაც ბავშების მიერ, მათი გაკეთებაც ჯოხებისა და ასანთის ღეროებისაგან და სხ.

წერა-კითხვის შეთვისების დაჩქარებისა და გაადვილების მიზნით, რასაკვირველია, დიდ ღირებულებას წარმოადგენს ყოველნაირი ვარჯიშობა ძერწვაში, ხატვაში და სხვა ამდაგვარ ხელგარჯილობაში, აგრეთვე ფონეტიკური ვარჯიშობანი თამაშობის, ამოცანების და სხვ. ასეთების სახით, ვინაიდან ასეთი ვარჯიშობით სხვადასხვა ანალიზატორები უფრო მგრძნობიარენი ხდებიან და შეუძლიათ უფრო პატარა განსხვავებანი შენიშნონ, რაც თავის მხრით შესამჩნევად გაადვილებს წერა-კითხვის პროცესის შეთვისებას. ამიტომ პროგრამებში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ წერა-კითხვის სწავლება არ უნდა დაიწყონ, სანამ ბავშს არ გაუჩნდება მისი გადაუდებელი მოთხოვნილება და სანამ მისი ყურიცა და ხელიც სათანადო ვარჯიშობით არ იქნება რამოდენიმედ მაინც მომზადებული ნათელ და მწყობრ მეტყველებაში, თავისუფალ ხატვაში და ხელგარჯილობაში.

ჩვენ გვინდოდა აქ აგვენიშნა მხოლოდ, რომ მასწავლებელმა არ გადააჭარბოს ამ წინასწარ ვარჯიშობაში და ძლიერ დიდხანს არ შეაჩეროს მასზე ბავ-

შები. არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ ეს ყოველ შემთხვევაში წინასწარი ვარჯიშობაა, რომელმაც უნდა გააადვილოს, დააჩქაროს და კი არ დააგვიანოს სწავლების პროცესი.

მაშასადამე, რეფლექსოლოგიური თვალსაზრისით წერა-კითხვის სწავლების ყველაზე უფრო მიზანშეწონილ მეთოდად უნდა ჩაითვალოს, როგორც სჩანს, ანალიტიკურ-სინთეტიური მეთოდი.

დასასრულ რამოდენიმე სიტყვა შესახებ იმისა, ერთდაიმავე დროს უნდა სწარმოებდეს თუ სხვადასხვა დროს კითხვის (ბეჭდური შრიფტისა) და წერის (ხელნაწერი) სწავლება. ამ საკითხის შესახებაც უკანასკნელ დრომდე ვერ შეთანხმებულან მეთოდისტები.

იმ თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ აქ ვატარებთ, გარკვევით და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ წერისა და კითხვის (სხვადასხვა შრიფტების) ერთდროულად სწავლება, უეჭველად არაა მიზანშეწონილი და შესამჩნევად უძნელებს ბავშს წერა-კითხვის შეთვისებას. საქმე იმაშია, რომ ერთდაიმავე დროს ორი სხვადასხვა მიმართებით მუშაობა მოითხოვს ბავშისაგან მეტ ინტენსივობას, ვინაიდან მის ტვინში ერთდროულად ჩნდება ორი დომინანტა, რომელნიც ასუსტებენ ერთი-მეორეს იმით, რომ ბეჭდური ასოებით კითხვის დასწავლასაც და სხვანაირი ასოებით წერის დასწავლასაც დასაწყისში ძალიან ბევრი ყურადღება უნდა დაეთმოს, რისგამოც ხშირად ისეთ სამუშაოს ვღებულობთ, რომელიც ბავშის ძალ-ღონეს აღემატება.

ამიტომ უფრო სწორი იქნება დავიწყოთ რომელიმე ერთი შრიფტიდან— ბეჭდური ან ხელნაწერიდან და არ მივმართოთ ორივეს ერთად. რაც შეეხება იმას, თუ რომელი ასოებისაგან დავიწყოთ წერა-კითხვის სწავლება, ეს ცალკე უნდა იქნეს განხილული დაწვრილებით.

ვ. ხურციძე.

მშობლიური ლიტერატურის და ენის სწავლების საკითხები.

II.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები მჭიდროდ არის დაკავშირებული განსაზღვრულ დროსთან და გარემოსთან. ის შინაარსი, რომელიც მოცემულია ლიტერატურულ ფაქტში, ორგანიულად არის გადაბმული ამა თუ იმ წრესთან. აგრეთვე ყველა ის საშუალებანი, რომელთა მეოხებით გამოითქმის ნაწარმოებში გატარებული დედააზრი, მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტ პირობებში არსებულ ხერხებს შეეფერება.

როგორც დიდი, ისე პატარა ნიჭის მწერალი განსაზღვრული პირობების შვილია. გარჩევა მხოლოდ იმაშია, რომ პირველი უფრო ღრმად და ყოველგხრივად წვდება ბის გარშემო მყოფ სინამდვილეს, მეორე კი ზედაპირზე დაცოცავს და თვალთა ხედვის ფარგალიც შედარებით ვიწრო აქვს. იმ დროს, როდესაც დიდ შემოქმედს „ძალუძს სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“, მისივე თანამედროვე, მაგრამ პატარა გაქანების მწერალი

„ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვსთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“.

ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლის დროს ეს ძირითადი დებულება ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა გვახსოვდეს. როგორც თხზულების დედააზრის, ისე მის ფორმის და ენობრივ მხარეს მხოლოდ მაშინ მივწვდებით სათანადოდ, როდესაც ამ თვალსაზრისს მარჯვედ მოვიხმართ და მოქნილად გამოვიყენებთ. როგორც რომელიმე წიწვიანი, ან კიდევ ფოთოხლის ხის თვისებათა შესწავლა შეუძლებელია გარეშე ამ მცენარეების აღმომცენ ჰავისა და ნიადაგისა, ისე ყოვლად მიუღწეველი იქნება ამა თუ იმ ნაწარმოების შეგნება გარეშე იმ წრისა, რომელშიაც იგი შექმნილა, მაგ., ჰომიროსის „ილიადა“ მხოლოდ მაშინ იქნება შეგნებული და ყოველ მხრივად შესწავლული, თუ გათვალისწინებული გვექნება ის ეკონომიურ-კულტურულ-გონებრივი დონე, რომელიც არსებობდა ჰომიროსის

დროის საბერძნეთში. ვერასოდეს ვერ შევიგნებთ „ვეფხის-ტყაოსნის“ სულსა და გულს, თუ თამარის ეპოქის მთავარი მამოძრავებელი მიზეზები არ ვიცით ზედმიწევნით.

ეს მთავარი სახელმძღვანელო დებულება მასწავლებელს ავალებს, რომ ლიტერატურული ფაქტის შესწავლის დროს მოსწავლე მას ჰყავდეს საზოგადოებათმეცნიერების სფეროში და აქ მკვიდრად ფეხმომაგრებულს ფრთხილად უნდა მისცეს ხელში მეცნიერული კვლევა-ძიების სანათური.

შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ეს თვალსაზრისი ჩვენს სკოლაში ძალიან მკვიდრად არის ფეხმოდგმული, ბევრ შემთხვევაში გაბატონებულიც კია. ფაქტი უსათუოდ სასიხარულოა და ყოველმხრივ წასაქეზებელი. ეჭვი არ არის, რომ ფონი უკვე ნაპოვნია და ეს ფონი კარგი ფონიც არის, მაგრამ მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი... ერთ ადგილას ახრჩობს ადამიანს.

საქმე იმაში არის, რომ სწორ გზაზე შემდგარი ჩვენი მასწავლებელი მხოლოდ ერთ ნაბიჯს დგამს წინ, მხოლოდ იწყებს საქმეს და მისი გაგრძელება კი არ უნდა ან კიდევ ჯერჯერობით ვერ მოუხერხებია.

უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ მხატვრული ნაწარმოები, საზოგადოებათმეცნიერების საკვლევი საგანი უნდა იყოს, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ მარტო ამით უნდა დავკმაყოფილდეთ და მშობლიური ლიტერატურის შესწავლის ფრიად ძნელი, საპასუხისმგებლო და რთული საქმე აგრე გავამარტივოთ. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა და ჩვენი სკოლაც სცდება იმდენად, რამდენად ამ უძნელესი საგნის სწავლებას აგრე იოლად ეპყრობა.

მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების დარგს შეადგენს, თანაც ისეთს, რომელიც ხელოვნების სხვა დარგებთან—ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა, ხუროთ-მოძღვრება,—შედარებით ყველაზე რთული და უნივერსალურია. სიტყვიერების საშუალებით შექმნილი ნაწარმოები სურათიანობასაც შეიცავს, ქანდაკების და ხუროთ-მოძღვრების ელემენტებსაც ატარებს და მუსიკალობითაც გაჟღენთილია.

ყოველივე ეს მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს ზედმიწევნით უნდა იქნას შეთვისებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნების ამ დარგის შესწავლა-შეთვისება ჰკარგავს თავის მიზანს და მეორე ხარისხოვან მომენტს ემსახურება.

მართალია არც ერთი სასწავლო საგანი თვითმიზნობას არ ემსახურება და საბოლოო წერტილად პრაქტიკულ გამოყენებისკენ მიისწრაფვის, მაგრამ არც იმისი უარისყოფა შეიძლება, რომ განსაზღვრულ მომენტამდე ერთგვარი

თვითმიზნობაც აუცილებლივ უნდა იქნას დაცული, ე. ი. ყოველი საგანი ჯერ თავისთავად უნდა შეისწავლო და, ვინემ ცოდნის გამოყენებაზე იფიქრებდე, თითონ ეს ცოდნა უნდა შეიძინო.

ასე უნდა მოვექცეთ მხატვრულ ნაწარმოებსაც: მისი მიზნები ხელოვნების სფეროსაგან არის დამოკიდებული და მისდამი მიდგომაც უსათუოდ ხელოვნების თვალსაზრისიდან უნდა გამომდინარეობდეს. ხელოვნება და მისი მიზნები— აი რა უნდა ბატონობდეს მშობლიური ლიტერატურის შესწავლის პირველ საფეხურებზე.

ხელოვნება უპირველეს ყოვლისა ადამიანის ემოციონალურ მხარეზე მოქმედებს, მისი ათვისება გრძნობელობითი ორგანოებით ხდება. ამით განირჩევა ხელოვნება მეცნიერებისაგან, რომელიც უმთავრესად აღძრავს სააზროვნო სფეროს და მოითხოვს გონებრივ მუშაობას.

მაშასადამე, მშობლიური ლიტერატურის, როგორც ხელოვნების დარგის შეთვისების დროს, წინ უნდა დადგეს ემოციონალური მომენტი, გრძნობელობითი ათვისება და არა აზროვნების აღძრა. უკანასკნელ შემთხვევაში მხატვრულ ლიტერატურას მისი ძირითადი თვისება ეკარგვის, ხელოვნურად მახინჯდება იგი და, რასაკვირველია, მიზანსაც ვერ მიაღწევს სათანადოდ.

აი, ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ მხატვრული ფაქტის შესაცნობად მხოლოდ საზოგადოებათმეცნიერების თვალსაზრისით მუშაობის განსაზღვრა შემცდარი და მიუღებელია და, როგორც ასეთი, დასახულ მიზანსაც სათანადოდ ვერ ემსახურება: ჩვენი მოზარდი თაობა ვერ ღებულობს შესაფერ ესთეტიურ აღზრდას, მოკლებულია ფართო გონებრივ განვითარებას და ზნეობრივ-სოციალურ ათვისების უნარს.

მშობლიური ლიტერატურის შეუფერებლად სწავლების გამო ჩვენს ახალ თაობას უსათუოდ დიდი დაბრკოლება ელობება წინ განვითარების გზაზე და ჩვენი პედაგოგიური აზროვნებაც ვალდებულია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას.

დ. ჟიფშიძე

საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში.

(დასასრული)

II. **სოციოლოგიის და ისტორიის მიმართება საზოგადოებათმეცნიერებაში.** რა კი გათვალისწინებულია საზოგადოებათმეცნიერების ამოცანები, მოხაზულია მოკლედ მისი შინაარსი, ისმება საკითხი: თუ ძველი ისტორია ვერ უძლებდა კრიტიკას, თუ მისი სწავლების მეთოდები შემაფერხებელ მიზეზებად ევლინებოდა მოწაფეებს, ე. ი. ისტორიის ცუდად გაგება იყო მიზეზი ამ დისციპლინის გარდაქმნისა, განა ახალი ისტორია, უკეთ რომ ვსთქვათ, ისტორია, ისტორიული მატერიალიზმის თვალთახედვით გაშუქებული, სწავლების დროს არ მოგვცემს იმ შესაძლებლობას, რასაც საზოგადოებათმეცნიერება ისახავს მიზნად? რაღა საჭიროა ახალი დისციპლინის შექმნა, რომელიც უცნობია მასწავლებლისთვის და რომლის მეთოდები, ამავე სიახლის გამო, არ არის, ან ძიებაშია? ან და პოლიტიკური ეკონომია, გაგებული მარქსისებურად და თავისებურად დალაგებული, ვერ ამოავსებს ხარვეზს, ძველ სკოლაში ისტორია რო სტოვებდა?— ეს კითხვები ბუნებრივია უთუოდ.

საზოგადოთმეცნიერების ცნების გარკვევით ცხადია, რომ საქმე გვაქვს ორგანიულ მთლიანობაში აღებულ საზოგადოებასთან. მაგრამ „ადამიანთა საზოგადოება ძალიან რთული საგანია. ფრიად რთული და მრავალსახოვანია საზოგადოებრივი მოვლენებიც. აქ თავს იყრის სამეურნეო მოვლენები, საზოგადოების ეკონომიური წყობილება, მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, მორალური სფერო, სარწმუნოება, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, ოჯახურ დამოკიდებულებათა არე და სხ." (**ნ. ბუხარინი—„თეორია ისტორიული მატერიალიზმისა"—შ. ნუცუბიძის** თარგმანი, § 5). ამიტომ ცხადია, რომ საზოგადოებათმეცნიერებას ექნება საქმე იმ მეცნიერებებთან, რომელნიც ასე თუ ისე, საზოგადოებას ირკვევენ. ეს მეცნიერებანი საზოგადოებრივ მეცნიერებად იწოდებიან და, „თუ გავითვალისწინებთ მარქსის მოძღვრებას ე. წ „ბაზისზე და ზედნაშენზე", აქ შევა ეკონომიური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოების

სამეურნეო ცხოვრებას, პოლიტიკური ეკონომია (სწავლობს სპეციალურად კაპიტალისტურ მეურნეობის საერთო კანონებს), პოლიტ.-იურიდიული მეცნიერებანი (სახელმწიფო, უფლება) და მეცნიერებანი, რომლებიც სწავლობენ საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას და იდეოლოგიას (ენა, ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვ.“ (კატაევი, ბუხარინი, დასახელებული წიგნები, 25; 11-12).

მაგრამ მეტად ხელსახები დამოკიდებულება საზოგადოებათმეცნიერებასთან სოციოლოგიას და ისტორიას აქვს. მრავალ და მთავარ ხაზებში ამ საგნებს საზოგადოებათმეცნიერებასთან იგივეობა ახასიათებს და საჭიროა, როგორც ამის, ისე აქედან გამომდინარე სხვა, მონათესავე საკითხების გარკვევა.

სიტყვა-სიტყვით „სოციოლოგია“ საზოგადოებათმეცნიერებას ნიშნავს, მაგრამ საქმეს ეს როდი შველის. სოციოლოგიის ამოცანაა: აღმოაჩინოს კანონები, რომლებიც საზოგადოების მოვლენების რეგულიაციას ახდენს, რომ ამით მეცნიერულ მსოფლგაგების პირობების შემუშავება უზრუნველყოფილი იყოს. საიდან მოაქვს სოციალოგიას მასალა?—როგორც წარსულიდან, ისე თანდროულობიდან. აი, ესეც საერთო ხაზი საზოგადოებათმეცნიერებასთან.

ავიღოთ ისტორია. განა მარქსისტულად გაგებული ისტორია მეფეების და ქრონოლოგიურ დატების ისტორია არის? განა ეს (ახალი) ისტორია საზოგადოების მოვლენათა კანონზომიერებას არ არკვევს მოცემულ მომენტში? მის შემდეგ რაც „სოციოლოგია ისტორიის მეთოდი“ (ბუხარინი) გახდა, განა შეიძლება ახალ და ძველ ისტორიის გაიგივება? რასაკვირველია, არა.[1]) მიუხედავად ყველა ამაებისა, არც სოციოლოგიას და არც ისტორიას არ შეუძლია საზოგადოებათმეცნიერების ადგილის დაკავება ახალ სკოლაში და აი, რატომ:

ისტორია კონკრეტი, ძალზე კონკრეტი მეცნიერებაა. მას საქმე აქვს განსაკუთრებულ პერიოდთან. ბუხარინით „ისტორია იკვლევს და აღწერს, როგორ მიმდინარეობდა ამა და ამ დროს და ადგილას საზოგადოებრივი ცხოვრება მაგ. როგორ ვითარდებოდა რუსეთში მეურნეობა, სამართალი, ზნეობა, მეცნიერება და მთელი რიგი სხვა საგნებისა, დაწყებული 1700 წ-დან, 1800 წ-მდე, ანუ ჩინეთში 2.000 წ-დან ქრისტეს წინ 1000 წ-დე ქრისტეს შემდეგ; ან გერმანიაში საფრანგეთ-პრუსიის 1870 წლის ომის დროს და შემდეგ, ან სხვა ქვეყანაში...“ (იქვე).

სოციოლოგია კი „ზოგად საკითხებს აყენებს: რა არის საზოგადოება, რაზეა დამყარებული მისი განვითარება? რა დამოკიდებულებაში არიან საზოგადო-

[1]) თვით სოციოლოგიის და ისტორიის მიმართებაზე ნახე ბუხარინის დასახ. წიგნი, გვ. 13. დ. ყ.

ებრივი მოვლენები (მეურნეობა, სამართალი, მეცნიერება და სხ.) და სხვადასხვა.“ სოციოლოგია „ყველაზე ზოგადი (აბსტრაქტიული) მეცნიერებაა“ (ბუხარინი).

აი, სწორედ ეს კონკრეტიულობა (ისტორიის) და აბსტრაქტიულობა (სოციოლოგიის) არის იმის მიზეზი, რომ ისინი ვერ შესცვლიან ახალ სკოლაში საზოგადოებათმეცნიერებას. მათი შეერთება კი სხვა ცოდნასთან ერთად ისტორიულ მატერიალიზმის გვირისტით საზოგადოებათმეცნიერების კომპლექსში უტყუარ პირობებს იძლევა ახალი სკოლის მიზნების განაღდებისთვის.

III. **პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიური პოლიტიკა და ეკონომიური გეოგრაფია საზოგადოებათმეცნიერებაში.** საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკონომიურ ფაქტორს უპირველესი მნიშვნელობა აქვს და იგივე (ეკონომიური ფაქტორი) განსაზღვრულ (მარქსისტულ) მსოფლ-მხედველობის შემუშავებაში ასეთსავე მნიშვნელობის ხდება. აქედან თავის-თავად ცხადია, ეკონომიური მეცნიერებანი რა ადგილს დაიჭერს საზოგადოებათმეცნიერების კომპლექსში.

ცხადია ისიც, თუ ძველი სკოლა რათ არ უთმობდა ადგილს ეკონომიურ მეცნიერებებს სასკოლო დისციპლინებში. ეს წინასწარ განსაზღვრული, მოფიქრებული პოლიტიკა იყო, რომ კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებიც არსებულია კაპიტალისტურ მეურნეობის დროს და, რომელთა ნათელფენა ეკონომიურ მეცნიერებათა, საერთოდ, მიზანია—მიჩქმალული ყოფილიყო.

ცენტრალური ადგილი ეკონომიურ მეცნიერებაში პოლიტიკურ ეკონომიას უკავია. ახალი პროგრამების ჩამოყალიბების პროცესში, არამც თუ დიდ მნიშვნელობას აძლევდენ პოლიტიკურ ეკონომიას სათანადო ადგილის დათმობით, არამედ მთელი პროგრამა პოლიტიკურ ეკონომიის პრინციპზე იგებოდა. საფუძველი ადამიანთა შრომა, როგორც მთავარი საშუალება ხალხის მატერიალურ მოთხოვნილების დაკმაყოფილების და საზოგადოებრივ მიმართების განმსაზღვრელი. მაგრამ ისმის საკითხი: რა დამოკიდებულებაში არის პოლიტიკური ეკონომია და ისტორია, მათ ერთიმეორის ადგილი არ შეუძლიათ დაიკავონ საზოგადოებათმეცნიერების კომპლექსში?—პოლიტიკური ეკონომია იხილავს შრომასა და მეურნეობას არა მარტო ადამიანის და ბუნების დამოკიდებულების თვალსაზრისით, არამედ უმთავრესად ამ პროცესის ნიადაგზე არსებულ ადამიანთა მიმართებას (დამოკიდებულებას). ისტორია, თუნდ ისტორიულ მატერიალიზმით გაშუქებული, ვერ შესცვლის პოლიტიკურ ეკონომიას, ვინაიდგან იგი (ისტორია) ვერ მოგვცემს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების დაწვრილებით გაშუქებას. ეს არც არის მიზანი ისტორიის. პოლიტიკური-ეკონომია კი, მარქსის მიხედვით, უნდა გვაძლევდეს თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის ანალიზს და ამ ანალიზის დროს უნდა წამოყენებული იქნეს მთელი რიგი თეორიულ ცნებებისა. ეს ცნებები, რასაკვირველია, ისტორიის სამოქმედო ასპარეზის მიღმა არსებულია.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თანამედროვე სკოლაში ეკონომიურ პოლიტიკას. ეს პრაქტიკული ნაწილია პოლიტიკურ ეკონომიის. რა განსხვავება

არის მათ შორის? პოლიტიკური ეკონომია იკვლევს სამეურნეო ცხოვრებას, როგორც არის, ეკონომიური პოლიტიკა თავისებური პოლიტიკაა — მეურნეობას განსაზღვრული კალაპოტი მისცეს, მეურნეობა წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოებში მოაქციოს. ის გეგმიანი მშენებლობა, რომელიც ახასიათებს საბჭოთა კავშირს, გულისხმობს სკოლაში ამ დარგსაც (ეკონომიური პოლიტიკა) ადგილი დაეთმოს.

კატაევი ჩვენთვის ცნობილ წიგნში ამბობს, რომ „პოლიტ-ეკონომიური მასალა შრომის სკოლის პროგრამაში მეთოდიურ-პედაგოგიურ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს. ძველი სკოლა პოლიტიკურ ეკონომიის შემოუტანლობას სასკოლო დისციპლინებში ამ საგნის სირთულით ხსნიდა; მართლაც, ძნელი საგანია პოლიტიკური ეკონომია, მაგრამ თავისებურ მეთოდების ხმარებით და სათანადო ადგილის მიჩნევით ამ მასალისათვის პროგრამაში უნდა იქნეს აცდენილი ეს საშიშროება". (გვ. 30)

ახალი საქმეა აგრეთვე სკოლაში ეკონომიური გეოგრაფიის შემოღებაც. ყოველგვარი, მით უმეტეს საბჭოთა სახელმწიფო დაინტერესებულია შესწავლილი იქნეს თავის ქვეყნის „ლანშაფტი", რომ ამით მეტად იყოს შესაძლებელი ქვეყნის სამეურნეო განვითარების რაციონალიზაცია.

სხვანაირად ესმისთ ეკონომიური გეოგრაფიის საგანი. პროფ. დენის აზრით — „ეკონომიური გეოგრაფია ისახავს მიზნად სამეურნეო ცხოვრების, ცალკე ნაწილის (სახის) თანამედროვე მდგომარეობის შესწავლას, როგორც არის მაგ.: სასოფლო მეურნეობა, ვაჭრობა, მიმოსვლა და სხვა გეოგრაფიულ მიმართებაში და აგრეთვე ფიზიკურ, თუ კულტურულ პირობათა გათვალისწინებით, რომლებიც (პირობა) გავლენას ახდენენ მეურნეობის ამა თუ თუ იმ სახეზე". ბერნშტეინ-კოგანით ეკონომიურმა გეოგრაფიამ უნდა შეისწავლოს დედა-მიწის რომელიმე ნაწილის (რაიონის) ეკონომიური ცხოვრება მთლიანად, დაკავშირებით იმ პირობებთან, რომლებიც რთულ დამოკიდებულებაშია ამ სამეურნეო ერთეულთან. „ეკონომიური გეოგრაფია არის მეცნიერება ეკონომიურ რაიონებზედ და მათ ურთიერთობაზე". იგი (ეკ. გეოგრ.) იდიოგრაფიული (აღმწერილობითი) მეცნიერება უნდა იყოს, მისი საქმე არ არის აღმოაჩინოს კანონები, რომლებიც განსაზღვრავს სამეურნეო ერთეულის (რაიონის) ეკონომიურ მიმართულებას. ეს პოლიტიკურ ეკონომიის და, თითქმის, სოციოლოგიის საქმეა-ო.

რასაკვირველია, საზოგადოებათმეცნიერებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ-გეოგრაფიის უკანასკნელ გაგებას, რამდენადაც ჩვენი პროგრამების ხასიათი — კომპლექსიურობა — გვიკარნახებს, არ იქნეს შესწავლილი არც-ერთი მოვლენა განცალკევებულად.

ჩვენი პროგრამები ასე (ბერნშტეინ-კოგანის გაგება) გულისხმობს ეკონომიურ გეოგრაფიას და მის ნიადაგზე საუცხოოდ იშლება 4 წლედის და 7 წლედის პროგრამები, მაგრამ ამაზედ მაშინ, როცა პროგრამებზედ გვექნება ლაპარაკი.

პროფ. გ. ი. გაგაშვილი.



გ. გაგაშვილი დაიბადა ქუთაისში 1862 წ. ნოემბრის 9. დედა ჰყავდა საქვის მოყვარული და სულს უჩყოშდა შვილის მსაქვრიც განვითარებას. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. 1883 წ. გაგაშვილი მიიღეს შეკერშირგის სამსაქვრო აკადემიაში და სწავლობდა პროფ. ვილჟალდის მაქალურ კლასში. მან იმ თავითვე მიიქცია პროფესორთა ყურადღება და მისი სურათი „ქურთი“ დაჯილდოვეს ვერცხლის მედალით. 1888 წ. გაგაშვილი ათავებს აკადემიას და მისი საუნკურსო სურათი „მაზარი მაქოში“ შეიპინა ქრქიაკოვმა. თვით აკადემიამ კი შეიპინა და სანიმუშოდ დაიკოვა გაგაშვილის ქვითიდი „ცხენი“.

აკადემიის დამთავრების შემდეგ გ. გაგაშვილი დაბრუნდა საქართველოში, ჰკრებს მასალებს კავკასიის ცოცხალი ჯოსიდან, საქვეს და მართავს გამოფენებს. 1894 წ. ის შედის მიუნჰენის სამს. აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1898 წ. დიდი ვერცხლის მედალით, მოუნდება სამშობლოში და განაგრძნობს მუშაობას.

გ. გაგაშვილს შესრულებული აქვს სულ 2.000-ზე მეტი სურათები, ნასაზები და ქვითიდები, რომელნიც გაბნეულნი არიან მიუნჰენში, პარიზში, შერლინში, ლონდონში, მოსკოვში, ლენინგრადში და სხვ.

1921 წ. გ. გაგაშვილი მოწვეულია ქუთაისის სამსაქვრო აკადემიის პროფესორად.

ვ. კ.

გიგო გაბაშვილი

(მისი გამოფენის გამო).

მიმდინარე წლის განმავლობაში, ჩვენი მხატვრული ცხოვრება არა-ჩვეულებრივი სიცხოველით მიმდინარეობს. თითქმის მთელი წლის განმავლობაში, სისტემატიური გამოფენები იმართება. ჩვენ წინ გაიარეს ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა, შემდეგ ტფილისის მხატვრებმა საზოგადოდ, ფიროსმანიშვილმა, გველესიანმა, დ. გურამიშვილმა, გოგიაშვილმა და სხ... ისე რომ თითქმის მთელი ჩვენი უახლოეს ეპოქის მხატვრები იქნენ წარმოდგენილი საზოგადოების საჩვენებლად. ბევრმა არც კი იცოდა მათი სახელი. ეხლა კი, ქართველ მხატვართა საზოგადოების დარბაზებში, მხცოვანი მხატვრის, გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენა არის მოწყობილი. ქართველი საზოგადოება მის სახელს კარგად იცნობს, მაგრამ მისი შემოქმედება ბევრს არ უნახავს, რადგან კერძო ოჯახებში იყო ჩაკეტილი, დღეს კი, ეს განძეული ხალხის საჩვენებლად არის გამოტანილი. და უნდა ითქვას, რომ გამოფენა დროულიც არის და მეტად ღირსშესანიშნავიც. დროული, რადგან თანამედროვე დაქსაქსულ მხატვრობას ერთგვარი დამაოკებელი დასაწყისი სჭირდება, რომ მოდურმა გრეხვამ საზღვარი დაიდოს, და ასეთ დასაწყისად კი—გ. გაბაშვილის ეპიური სიდინჯის მხატვრობა გამოდგება. ღირსშესანიშნავი კი მიტომ, რომ ამ გამოფენაზე წარმოდგენილია დიდი ზომის მხატვარი, ნამდვილი მაესტრო, რომლის დიდ და სერიოზულ სკოლას ჯერ კიდევ ბევრი რამ ცოდნის მიცემა შეუძლია. ვისაც კი ესმის მხატვრობა, იმისთვის უდავო უნდა იყვეს, რომ ქართ. მხატვრობის ისტორიაში გიგო გაბაშვილი დიდი მოვლენა არის. ვამბობთ ისტორიაში, რადგან მისი შემოქმედება უკვე ნახევარი საუკუნის მანძილს მოსდევს, და განვლილ პერიოდს უფრო ეკუთვნის, ვიდრე თანამედროვეს. როგორც ჩვენი ხალხი იტყვის, მისი „კალო უკვე გალეწილია“, და ჩვენ წინ ხვავია დაგროვილი, რომლის შესახებ საბოლოო მსჯელობა უკვე შესაძლებელია.

უცქერით მის „ტილოებს“ და ჰხედავთ, რომ დიდი არტისტის ნიშანი აზით, მაგრამ ამასთანავე ერთად ჰხედავთ იმ დაღსაც, რომელიც ჩვენი ქვეყნის მხატვრულმა ჩამორჩენილობამ დაასვა. სხვა პირობებში, გიგო გაბაშვილი უფრო დიდი ოსტატი იქნებოდა, მაგრამ ჩვენმა სინამდვილემ თავისი ხარკი მოსთხოვა, და გიგო გაბაშვილიც ხშირად ჩამოდიოდა შემოქმედების მაღალ პიედესტალიდან, საზოგადოების და ახალი გემოვნების დასაკმაყოფილებლად. ამას თვით მაატვარიც არა ჰმალავს, და ერთგვარი ღრმა სევდით თითქოს თავსაც იმართლებს. აქ არაფერია არც უცნაური და არც ბრალ-დასადები. განა ასევე დაბლა დაწევა არ უხდებოდათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, არჩ. ჯორჯაძეს და სხ... რომ არ მოსწყვეტოდნენ თავიანთ წრეს და ეს უკანასკნელი აემაღლებინათ?

გიგო გაბაშვილიც იმავე პირობებში მოექცა, და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „განცხრომით სხვაგან ყოფნას“ აქ სიკვდილი არჩია. მაგრამ გიგო გაბაშვილი არ მომკვდარა. პირ-იქით, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, გიგო გაბაშვილი ჯიუტად რეკავდა ქართული ხელოვნების გამტყდარ ზარებს, და ლეტარგიაში მყოფ ქართულ გენიას ასულიერებდა.

ეს შესძლო კიდეც, და ეს არის მისი უდიდესი დამსახურება. და დღეს რომ ახალგაზრდა მხატვრების მთელი რაზმი გაჩნდა, იგი თითქმის სულ გიგო გაბაშვილის კალთიდან არსი გამოსული, და ქართული მხატვრობა დღეს რომ აღორძინების გზაზე სდგას, გიგო გაბაშვილი არის ამის ერთი პირველ მიზეზთაგანი.

* * *

გიგო გაბაშვილის შემოქმედება მრავალ-მხრივია და ნაყოფიერი. პეიზაჟები, ბატალური სცენები, ტიპები, ნატიურ-მორტები და სხ... ზეთი, აკვარელი, ფანქარი, ტუში... ყველაფერი ეხერხება ჩვენს მხატვარს, და ყველგან იჩენს შემოქმედებითი ენერგიის ძალოვანობას. მისი ნახაზი—ყოველთვის მტკიცეა და სწორე, კომპოზიცია—ყოველთვის მიზან-შეწონილი და მთლიანი, ფერები—ყოველთვის გაბედული და წმინდა, სიუჟეტები—ყოველთვის მიმზიდველი და ესთეტიურად გაგებული. ვამბობთ ყოველთვის, და ვგულისხმობთ იმ 2.000 ნამუშავარს კი არა, რომელთ შორის ბევრი რამ ბაზრისათვის იყო განკუთვნილი და, მაშასადამე მდარეც, არამედ იმ ნაწარმოებთ, სადაც ნამდვილი ხელოვანი ლაპარაკობს. ყველა შემომქმედსა აქვს მძლავრი და სუსტი ნამუშავარი, მაგრამ სუსტების მიხედვით კი არა ფასდება მისი ნიჭი. ისინი ანგარიშშიაც არა ვარ-

დებიან. ასევე უნდა მოვექცეთ გიგო გაბაშვილსაც, და ვიგულისხმოთ მისი სურათების ის სერია, რომელსაც მხატვარი აწვდიდა საქართველოს შემოქმედების მაღალი კვარცხლბეკიდან. აბა შეხედეთ მის „მოქალაქეებს“, როგორ მჭევრად არის ფერები ამეტყველებული, რა დიდი გამომსახველი ძალა სჩანს ყალმის ყოველ მოსმიდან, რა უშიშრად არის ფერები განაწილებული, და რაოდენი შინაგანი მთლიანობაა დაცული ძველი ტფილისის ამ „უკანასკნელ მოგიკანთა“ დაოსებულ სახეებში.

ამ „სამ მოქალაქეში“ ტიპებსა ჰხედავენ, მაგრამ აქ ტიპილოგიის გარდა ავტორის რომანტიკაც არის და იმ ფსიქოლოგიური ქვეყნის გადმოცემა, რომელიც ამ „მოქალაქეებსა“ ჰქონდათ. ეს არის სურათს რომ შთამაგონებელად აქცევს და მიმზიდველობას უძლიერებს. ან ნახეთ მისი ხევსურების ტიპთა მთელი გალერეია. არც ესენი არიან სწორი „ტიპები“. აქაც რასაკვირველია მხატვრული გადაჭარბებაა. უცქერით ამ გოლიათებს, ამ ბაყბაყ-მდევებს და ეპოსი ცოცხლდება. ავტორს უყვარს ეს ჯაჭვის პერანგისა და მუზარადების ქვეყანა. იგი არაფერს არა ჰზოგავს, რომ თავისი გმირების გარეგნული სიდიდის საშუალებით დაგანახოთ ის დიდი შინაგანი ქვეყანა, რომელიც ამ რკინის ადამიანებში ბობოქრობს. მართალია, ხშირად ფერები გადაჭარბებით არიან ნახმარი, და ბევრსაც ეუცხოვებოდა „წითლად გალესილი მთიელების პირისახე“, მაგრამ ეს იმიტომა ჰხდებოდა, რომ იდეა იმორჩილებდა თუ განსაზღვრავდა წერის მანერას. ეს ასეა ყოველთვის. და აბა ნახეთ, ამ „ტლანქი“ მანერის გვერდით, რა რბილი და ნაზი ფერები გამოჰყავს იქ, სადაც ამას სურათის იდეა თუ ხასიათი მოითხოვს. ნახეთ მისი პეიზაჟები, ნახევარ ტონებით და თითქმის შეუმჩნეველ ნიუანსებით შესრულებული, და დარწმუნდებით, რომ ავტორი წერის მანერის მხრივ ღარიბი და ცალმხრივი არ იყო. მას თავისი თავი ყოველთვის თან ახლდა.

გიგო გაბაშვილი დიდი გზნების მხატვარია მასსიურ სცენების გადმოცემის დროსაც. აიღეთ მისი „ალაverდობა“, ან „ჰიდაობა“, ან „ბაზარი“ და სხ... ყველგანა გრძნობთ შედედებულ ხალხს, მის თითქმის დამდგარ მოძრაობას, ღელვას. და ხშირად, მხატვარი ამ ეფექტს სულ უბრალო საშუალებით აღწევს. და რაც უმთავრესია, ავტორი კარგად ახერხებს ამ მასსის ხასიათის გადმოცემასაც, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

მასსა თითქოს ყველგან ერთი და იგივეა. მაგრამ ეს—გაუწრთვნელი თვალისათვის. დანახვის კარგი ოსტატი კი განსხვავებასა ჰხედავს. აბა დააკვირდით გ. გაბაშვილის სურათებზე ამ მასსიურ სცენებს, და დარწმუნდებით, რომ

ხასიათის სხვადასხვაობა მშვენივრად არის გადმოცემული, მოდგმისა თუ თვით სცენის ვითარების მიხედვით:


— რაც შეეხება მისი შემოქმედების შინა ბუნებას. ხოლო ამ ბუნების გამომსახველი საშუალება, ე. ი. ის, რასაც მხატვრულ ტექნიკას უწოდებენ, გიგო გაბაშვილს საკმაოდ მძლავრადა აქვს შესწავლილი თუ მიგნებული. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ იგი დიდ სითამამესა და თავისუფლებას იჩენს. აიღეთ მაგ.



სამი მოქალაქე.

ალექს. სარაჯიშვილის პორტრეტი, რომელიც ერთ სეანსში არის შესრულებული, და შეადარეთ რომელიმე სხვა პორტრეტს. დიდი განსხვავებაა, როგორც ფერების ისე კალმის ხმარებაში. ან შეადარეთ „მობანავე კამეჩები“, „ალგეთის ხეობას“, „მრეცხავი ქალები“—„ღამის თევას“ და სხვა... და გეჩვენებათ, თითქოს მათი ავტორი ერთი და იგივე არ არისო. მაგრამ უფრო ღრმა ჩახედვით, დაინახავთ ერთი ავტორის მაჯის-ცემას, რომელიც ვერ ეტევა ერთ კალაპოტში, ადგილს ინაცვლებს, სხვადასხვა გვაროვნობს, და ყველგან კი მაინც ერთსა და იმავე მხატვრულ მხედველობას ააშკარავებს. მხატვარი მძლავრია კომპოზიციის

მხრივაც. ნატიურ-მორტი იქნება თუ პეიზაჟი, მასიური სცენა თუ ცალკეული ფიგურა, ყველგან ნაწილების მიზან-შეწონილი განწესრიგებაა, ყველგან ერთი მთლიანობა ჭიქმნება, განუყრელი და დაუშლელი. ჰაერი და პერსპექტივაც კარგად ჰშლიან სივრცეებს და ააშკარავებენ ნაცადს თუ ღრმა ავტორს. იქნებ ზოგჯერ ეს თვისებები არც იყვნენ საჭირო. თანამედროვე მხატვრობა ბევრ მათგანს უარჰყოფს კიდეც, მაგრამ იმ სკოლის მხატვრისათვის, რომელსაც გი-



სამარყანდის ბაზარი

გო გაბაშვილი ეკუთვნის, ყველა ეს თვისება აუცილებელი ატრიბუტია, და ამ მხრივ ჩვენი ავტორი—ძალოვანია და დაოსტატებული. შეიძლება არ მოგწონდეთ გიგო გაბაშვილის მიმართულება, არ იზიარებდეთ საგნების მისებურ განმარტებას თუ დანახვას, მაგრამ რომ ის დიდი მხატვარია, ამის უარყოფა შეუძლებელია. რასაკვირველია, ამ მოკლე წერილში ძნელია გიგო გაბაშვილის შემოქმედების სრული დახასიათება. ეს ჩვენს მიზანს არც შეაგენდა.



პროფ. გ. გაბაშვილის სურათების გამოფენის ერთი კუთხე. სავარძელში ჩის¯თვითონ მხატვარი.

ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გაკვრითი თვალის გადავლება და იმ მთავარი პუნქტების აღნიშვნა, რაც გიგო გაბაშვილის შემოქმედებას ამაღლებს, და ადიდებს. გვინდოდა, კიდევ ერთხელ აღგვენიშნა; რომ გიგო გაბაშვილის სახით ჩვენა გვყავს დიდი მხატვარი, და მხოლოდ საქართველოსი კი არა, უფრო დიდი მასშტაბით. მისი „სამი მოქალაქე“, „ღამის თევა“, „ალავერდობა“, „ხატობაში“, „მედროშე“, „ალგეთის ხეობა“ და სხ... მხოლოდ ჩვენს გალერეიას კი არ დაამშვენებდნენ, ევროპაშიც მიიქცევენ ყურადღებას, და იქცევდნენ კიდეც.

მაგრამ ჩვენში, გ. გაბაშვილი ჯერ კიდევ ვერ არის ღირსეულად დაფასებული. ორმოცდახუთი წელია რაც მუშაობს ჩვენი მხატვარი, და უკვე დროა, რომ ნაამაგდარ ოსტატს მიეძღვნას ის, რაც მან სავსებით დაიმსახურა, ის უკვე ღირსია, რომ სპეციალური დარბაზი ჰქონდეს მიჩენილი ჩვენს გალერეიაში, სადაც უნდა შეიკრიბოს მისი საუკეთესო ნაწარმოებნი. თორემ ნელ-ნელა ისინი საზღვარ-გარედ იკარგებიან, ან და კერძო ოჯახიდან ასევე კერძო პირებზე იყიდებიან, რაც დაკარგვას უდრის. ამ გამოფენაზედაც ათიოდე ტილოა მოტანილი, რაც უსათუოდ საგალერეიო საუნჯეს წარმოადგენს, და განათლების კომისარიატმა თუ ეროვნულმა გალერეიამ ყოველ-გვარი ღონე უნდა იხმაროს, რომ ეს სურათები სახელმწიფო საკუთრებად გადააქციონ. ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი ავტორისათვის.

დიახ, გიგო გაბაშვილის შემოქმედება—ეს მთელი განძეულია, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეთ და შევინახოთ, რადგან მათი საშუალებით, ჯერ კიდევ ბევრი თაობა გაიზრდება. ეს იქნება მხცოვანი მხატვრის დიდი ზნეობრივი დახმარებაც, რაც ახალ ძალებს შეჰმატებს და გამოიწვევს ახალ შემოქმედებისაკენ. მას ძალა ჯერ კიდევ შესწევს, რაც დაამტკიცა ხიკო ნიკოლაძის საუცხოვო პორტრეტით, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, და ამ ძალის ცხოველ-საყოფად ნუ მოვაკლებთ მხატვარს ჩვენს მზრუნველობას და პატივისცემას.

ვან—დეიკ.

ალ. სუმბათაშვილი.

(იუჟინი).

ალ. სუმბათაშვილის მთელი ბუნებისა და მოღვაწეობის დახასიათება ძნელი საქმეა. მით უმეტეს, პატარა საჟურნალო წერილში. იგი იყო მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი, სათეატრო პედაგოგი, ადმინისტრატორი, საზოგადო მოღვაწე და სხ... ყველა ამ მხარის ხელშემოწვდენა მოკლე სიტყვით არ შეიძლება. ამიტომ ვიღებთ ერთ მხარეს—შემოქმედებას (მწერლურს) და შევეცდებით მისი პორტრეტის დახატვას ამ სფეროდან. ალ. სუმბათაშვილი ე. წ. „გარდამავალ ეპოქის“ მწერალი იყო. ვგულისხმობთ მე-80—90 წლებს, როდესაც რუსეთში ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა იწყებოდა, და ახალი მსოფლმხედველობის



ძიებაში იქანცებოდა მოწინავე ელემენტების გონებრივი და ზნეობრივი ძალა. ამ ეპოქის მთავარ ნიშნებს, წარმოადგენდნენ პ. ლავროვის „ისტორიული წერილები“, და ნ. მიხაილოვსკის „რა არის პროგრესი“. ამ ნაშრომებში მოცემული იყო ახალი სწავლის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკული გზების ჩვენება. ინტელიგენცია სასოებით მისდევდა ამ ახალ კვალს, და ერთგული სამსახურის ფიცსა სდებდა მთელი ქვეყნისა და თავისი სინდისის წინაშე. იდეა, ხალხის წინაშე ვალის მოხდის შესახებ, რაც ამ სწავლიდან გამომდინარეობდა, ინტელიგენციამ ისე კი არ მიიღო, როგორც გონებრივი პროცესის განსაზღვრული ნაყოფი, არა. იმან ამ იდეას ზნეობრივი ხასიათი მისცა, და წარმოიდგინა როგორც სინიდისის მუშაობის ნაყოფი. ამ იდეის მოხარკე იყო ალ. სუმბათაშვილიც.

კერძო ცხოვრებითა თუ შემოქმედებით, იგი იყო ტიპიური მოწინავე ინტელიგენტი, ლიბერალურ თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული, სადაც ერთმანეთსა სცვლიდნენ სხვადასხვა იდეიური ქროლვანი: გერცენი და ვ. ჰუგო, ლუი ბლანი და გამბეტა, ლავროვი და მიხაილოვსკი... და მის შემოქმედებაში, ყველა ამ იდეიურ ქროლვათა ნაკვალევი მკაფიოდ მოსჩანს. მაგრამ ამ გავლენათა გარდა, ალ. სუმბათაშვილს ჰქონდა თავისი მსოფლმხედველობა, საკუთარი ზნეობრივი ქვეყანა, რომლის ყოველ მტკაველს ჯიუტად იცავდა და რაინდულად სდარაჯობდა მის შეუვალობას.

ალ. სუმბათაშვილს ჰქონდა ერთი ძირითადი იდეა—პიროვნების განთავისუფლება, და ყველა მისი პიესები ამ იდეის გარშემო ბრუნავენ. პროფ. კოგანი სწერს:—„ის თავგამოდებით იცავდა გრძნობათა უფლებას, თავისუფალ შემოქმედების უფლებას, ჰშოლტავდა ყოველ-გვარ ფორმის უთანასწორობას და ძალმომრეობას, ააშკარავებდა ზნეობრივი ძალის სილამაზეს და დიადობას, დიდსულოვნობას და მსხვერპლს“ და ყველა ამას მოდისათვის კი არა წერდა, დაზეპირებული ფრაზები კი არ იყო, არამედ ღრმა განცდა, სულის ტკივილები და მომავლის დიდი რწმენა.—„მე ვიცნობდი და მიყვარდა ხალხის სევდა, ჩუმი,

უჩინარი. მე ვიზრდებოდი და ვცხოვრობდი ერთი რწმენით, რომ თვითეული ჩვენგანი, რომელმაც ის გაიცნო და შეიყვარა, მოვალეა, შეამსუბუქოს იგი წუწუნითა და განყენებული სევდით კი არა, არამედ მტკიცე საქმიანობით"... ეს ერთგვარი ავტობიოგრაფიული ნაკვთია, საკუთარი აღსარება, რომლის მიხედვითაც ნათლად ისახება მისი ზნეობრივი და გონებრივი სტრუქტურა. მართალია, ალ. სუმბათაშვილის პიესებში, მომქმედ პირებად სულ ე. წ. „მაღალი წრის" ხალხი არის, არისტოკრატები, სხვილი მოხელეები, არტისტები, ნაწარმოებლები და სხ..., მართალია, იგი მეტ წილად დიდი ქონების კლასის წრეში გვატრიალებს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ მათი თავი შეგვაყვაროს, არამედ წინააღმდეგ, გვიჩვენოს მათი ცხოვრების უწმინდურობა, ზნეობრივი უნიადაგობა.—„ამხილეთ, ამხილეთ ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! პირმოთნეებს ნიღაბები უნდა ჩამოვგლიჯოთ"-ო. და თვით ავტორიც, გამუდმებითი მხილებაშია იმ იდეალების სახელით, რომელნიც მის სიცოცხლეს შეადგენდნენ. ალ. სუმბათაშვილი რომანტიკოსიც იყო. ვ. ჰუგო რომ გაგიჟებით ჰყვარებია, ეს სიყვარული უშედეგოდ ვერ ჩაივლიდა. ამ რომანტიულობის საუკეთესო გამომხატველი არის მისი პიესა „ღალატი". ამ პიესის შესახებ, ა. ლუნაჩარსკი სწერს: —„მისი „ღალატი"—სპექტაკლია, რომელიც ყველას უყვარს და ყოველთვის იმარჯვებს. და მე არ მიკვირს, რომ მის თეატრს ამერიკაში ეპატიჟებიან, ამ სიმპატიურ პიესის დასადგმელად, ამერიკის დიდ ქალაქებში. ეს პიესა შესაფერია უყვარდეს ხალხის სხვადასხვა ფენებს... იგი საესეა მრავალგვაროვნობით და სცენიური სიცოცხლით, და ამასთანავე, მასში სცოცხლობს ის სითბო, რომელიც იუჟინის მთელ მოღვაწეობას ათბობს. სახელდობრ: ღრმა ღუმანური ლიბერალიზმი და თავისებური პათოსი"... ქართველი საზოგადოებისათვის ყველაზე ძვირფასი ეს პიესა არის, იმიტომ კი არა მხოლოდ, რომ მეფური რეჟიმის დროს იგი უდიდესი ეროვნული პროტესტის მთქმელი იყო, არამედ იმიტომაც, რომ ამ პიესით, ალ. სუმბათაშვილი ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა. ალ. სუმბათაშვილის იუბილეიზე მოსკოვში, მსახიობმა კოტე მესხმა მიმართა:—„შენ, შენი „ღალატით" შენი ღალატი გამოისყიდეო"-ო. და ამას, თითქოს ალ. სუმბათაშვილიც წინადვე გრძნობდა, და მონანიების ნიშნად, თავის ხალხს მიუძღვნა უნაზესი და უღრმესი განცდების ნაყოფი. იდეოლოგიურად ეს პიესაც ალ. სუმბათაშვილის ნაცნობ მსოფლმხედველობის გამომხატველია. ილია ჭავჭავაძე სჩიოდა, რომ საქართველოს ისტორიაში ხალხი არა სჩანსო. ალ. სუმბათაშვილმა თითქოს იგრძნო მემატიანეების ეს დანაშაული, და ისტორიის მთელი სიმძიმე გლეხ-კაცობას დააკისრა. ამ პიესაში ნამდვილი გმირობა, თავ-დადება და ერო-

ვნულ მოვალეობის შეგნება გლეხებმა გამოიჩინეს, ე. ი. იმ ხალხმა, რომელიც ისტორიას „გმირთა“ სიაში არ შეჰქონდა. მაგრამ სუმბათაშვილის ერთ-ერთი გმირის თქმისამებრ, „გმირი—ცუდი დურგალი იქნება. ისტორიის ყველა დურგლები, ერთად აღებული,—აი ეს არის გმირი. იმათ ის გააკეთეს. რაც არც ერთ მითს არ დასიზმრებია“-ო. და „ღალატშიაც“ სწორედ ეს ისტორიის დურგლები აამაღლა ალ. სუმბათაშვილმა

ალ. სუმბათაშვილის შეხოჭმედების შესახებ ბევრი რამ ითქმის და ითქმება კიდეც. და როგორც არ უნდა შეაფასონ, ყველა მაინც იძულებული იქნება სთქვას, რომ იგი მუდამ მტკიცედ იდგა ადამიანის უფლებათა სახელოვან სადარაჯოზე.

ალ. სუმბათაშვილი გარდაიცვალა, მაგრამ მისი შემოქმედების სამრეკლოზე ზარები ჯერ დიდხანს იგუგუნებენ, და იმეტყველებენ იმ დიდი ადამიანის შესახებ, რომელმაც საუკეთესოდ შეათავსა შემომქმედისა და მოქალაქის მოვალეობა და სახელი.

აისედორა დუნკანი



განთქმული მოცეკვავე ამერიკელი ქალი, რომელიც უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა საფრანგეთში: უეცრად ყელსახვევი დაეხვია ავტომობილის ბორბალმა და ისე ძლიერად გადმოისროლა ქვაფენილზე უბედური ქალი, რომ ხერხემალი გადაუტყდა და იმ წამსვე გარდაიცვალა.

1921 წ. დიდი სენსაცია გამოიწვია ა. დუნკანის განცხადებამ, რომ ის მიდის საბჭოთა რუსეთში. აისედორა მართლაც მოვიდა საბჭოთა რუსეთში, სადაც ის, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, რომელსაც მაშინ განიცდიდა ქვეყანა, დიდი პატივით მიიღეს. მისი სახელობის ცეკვის სტუდია, მისივე ქალიშვილის ერმა დუნკანის ხელმძღვანელობით ეხლაც არსებობს მოსკოვში და დიდის წარმატებითაც მუშაობს.

ბიბლიოგრაფია

ვ. ჰიუგო. „ოთხმოცდა მეცამეტე წელი“, სახალხოდ შემოკლებული, ტფილისი, 1927 წ, გვ. 85, ფასი 50 კ.

საფრანგეთის დიდებულ მწერალს, რომლის გარდაცვალების შემდეგ წელს სრულდება 42 წელი, შედარებით ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი, და თუ იცნობს, ისიც მისი ზოგიერთი ლექსების მიხედვით. ჰიუგო კი უმთავრესად ცნობილია, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის რომანისტი და დრამატურგი. მისი „უარყოფილნი“, „პარიზის ღვთისშობლის ტაძარი“, „კაცი რომელიც იცინის“, „სიკვდილ მისჯილის უკანასკნელი დღე“, „93 წელი“ და სხვა მსოფლიო ლიტერატურის დამამშვენებელ თხზულებებად ითვლება. ამავე დროს იგი ახალი სკოლის—**რომანტიზმის** შემქნელი და თეორეტიკოსია. რომანი „93 წელი“, რომლის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთი უდიდეს თხზულებათაგანია მსოფლიო ლიტერატურაში. აქ შესანიშნავის ხელოვნებით არის მოცემული საფრანგეთის რევოლუციის ერთერთი უდიდესი ხანა თავისი ყოველდღიურობით და ისტორიაში ცნობილი გმირებით. ვის არ გაუგონია ჩვენში ვანდეა! ეს სახელი საფრანგეთის ერთ ჩამორჩენილ პროვინციას ეკუთვნის, ეს კუთხე რევოლუციონურ პარიზს აღუდგა, რესპუბლიკა უარყო და მეფისათვის თავი დასდო. ატყდა სამოქალაქო ომი, რომელიც ახალი რეჟიმის დამკვიდრებით დასრულდა ვანდეელები დამარცხდენ. ჰიუგოს რომანში ეს ბრძოლაა გადმოშლილი, მაგრამ გენიალური რომანისტი ყოფა-ცხოვრების სურათების მოცემით როდი კმაყოფილდება და დაწვრილებულ ყოველდღიურ მოვლენებში რაღაც მარადიულს და კაცობრიულს ეძებს. ჰიუგოს უსაზღვრო იდეალიზმი ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ცხოველია და მასში არაფერი იდეალური არ არის. მას სწამს, რომ გარემოებათა გამო გამხეცებული ადამიანში როდესაც იქნება უწმინდესი გრძნობაც იფეთქებს და ადამიანობა გამოიღვიძებს. ის შეუბრალებლად აშიშვლებს ადამიანის სულს, არ ინდობს თვით სხვათათვის თავგამოდებულ ენტუაზისტებს—რობესპიერს, დანტონს, მარატს, ყველგან ეგოიზმსა და დაუნდობლობას ხედავს იგი, მაგრამ ღრმადა სწამს ადამიანის სიკეთეც, რომელსაც სინამდვილე ვერ სპობს და იმ დროს, როდესაც გგონია, რომ მხეცმა ადამიანმა მხეცურად უნდა დაასრულოს თავისი არსებობა, აი ამ კრიტიკულ მომენტში მასში იღვიძებს უმაღლესი ჰუმანიზმი: სისხლის მსმელი გმირები თითქოს ძირითადად გარდაიქმნებიან და უდიდეს კაცთმოყვარულ გრძნობებს ამჟღავნებენ. ხოლო ის, ვისაც ეს ვერ მოუხერხებია, თავს იკლავს და იღუპება (სიმურდენი). ძნელია ჰიუგოს რომანის სიმშვენიერის გადმოცემა, თვითონ მკითხველმა უნდა განიცადოს იგი. რომანის სახალხოდ გადმომკეთებელს ერთობ ძნელი გამოცანა დაუკისრებია თავისი თავისათვის, მაგრამ მიზანს მაინც აღწევს ჩვენის აზრით. უკეთესი კი იქნებოდა, რომ რომანის შინაარსი უფრო ვრცლად მოეცა და შიგა და შიგ კიდეც ეთარგმნა რომანის ტექსტი.

ერთი.

ქ რ ო ნ ი კ ა

განათლ. სახ. კომისარიატში.

— **სასკოლო აღწერა.** განათლების კომისარიატისა და სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს შეთანხმებით შემუშავებულ გეგმის მიხედვით საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად) საზამთრო არდადაგების შემდეგ ჩატარდება სრ. საქართველოს სასკოლო აღწერა. აღწერის მიზანია გამოარკვიოს სოციალური აღზრდის და პროფტეხნიკურ განათლების დაწესებულებების მდგომარეობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების გეგმის დასამუშავებლად მომავალში.

— **რომელი სკოლების გამორკვევა მოხდება?** გამორკვეული იქნება განათლების კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რკინის გზის, საზღვაო, ფოსტატელეგრაფის და სხვა უწყებათა სკოლები.

— **რამდენი სკოლაა გამოსარკვევი?** ასაწერი იქნება საქართველოში (ავტონომიებით) 2543 სკოლა, 286.059 მოსწავლე და 10.678 მასწავლებელი. აღწერას ჩაატარებს მასწავლებლები სკოლის გამგის პასუხისმგებლობით და არა მოსწავლეები.

— **აღწერის ჩამტარებელი კომისიები.** აღწერის ჩასატარებლად ცენტრში (ქ. ტფილისში) არსდება რესპუბლიკანური კომისია **ცესუს** მმართველის თავმჯდომარეობით. წევრებად: სოციალურ-სტატ. სექტორის გამგე, აღწერის ხელმძღვანელი და განათლების კომისარიატის და განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი. ადგილობრივ მაზრებში აღწერას ჩაატარებს კომისია სამეულისაგან: განათლების განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარე) სტატბიუროს გამგე და განათლების მუშაკთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

— **ოქტომბრის 10 წლის თავის აღსანიშნავად** რკინის გზის სექცია ხსნის მე-4-ხე საბავშო კერას ქ. ტფილისში და საბავშო ბაღს შორაპანში, რომელთაც ეწოდება ოქტომბრის დიდი რევოლუციის სახელი.

— **ქ. ტფილისში** ოქტომრის ათი წლის აღსანიშნავად რკინის გზის სექცია საძირკველს ჩაუყრის მე-5-თე საბავშო კერას.

— ქ. ტფილისში არსებულ რკინის გზის ინტერნატს ეწოდება ოქტომბრის დიდი რევოლუციის სახელი.

განათლ. მუშაკთა ცენტრ. სახლში.

განათლების მუშაკთა სახლში 1926 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის ითვლებოდა 315 წევრი: მათში 119 მამაკაცი, 196 დედაკაცი, 203 მასწავლებელი, 26 ტეხნიკ. თანამშრ., 20 ოჯახის წევრი, 60 უმუშევარი და 6 სტუდენტი. 149 ქართველი, 53 რუსი, 99 სომეხი, 14 სხვადასხვა ეროვნების. 195—23 წ. ზევით, 102—18 წ.—23 წლამდე. კ. პ. წევრები—5, ლ. კ. ს. მ. წევრები—4, უპარტიო 306.

1927 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის ითვლებოდა 503 წევრი, მათში: 211 მამაკაცი, 292 დედაკაცი, 249 ქართველი, 137 სომეხი, 92 რუსი, 25 სხვადასხვა ეროვნების. 315 მასწავლებელი, 44 ტეხნიკ. თანამშრ. 22 ოჯახის წევრი, 111 უმუშევარი, 11 სტუდენტი. 396—23 წ. ზევით, 98—18—23 წლამდე, 9—17—წლამდე. კ. პ. წევრები და კანდიდატები—19, ა. ლ. კ. კ. წევრები—6, უპარტიო—478.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გან. მუშ. სახლში მუშაობდა ერთი წრე: სალიტერატურო ქართული ენის შემსწავლელი წრე პროფ. გ. ახვლედიანის და პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით. წრე მუშაობდა კვირაში ერთჯერ. სულ მეცადინეობა შესდგა 23-ჯერ. წრეში მუშაობდა 40 კაცი 12 მამაკაცი, 28 დედაკაცი.

მასიური მუშაობა.

განათლების მუშაკთა სახლში ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა შემდეგი სახის მასიური მუშაობა.

მოხსენებები:

1. საზოგად. პოლიტ. ხასიათის	10	ჯერ.	დაესწ. 2779 კ.,	მამაკ. 1215,	დედ. 1564
2. მეცნიერ. ტეხნიკ.	5	„ „	691 „ „	251 „	440
3. პედაგოგიურ	19	„ „	2760 „ „	1308 „	1452
4. ლიტერატურული თემ.	3	„ „	810 „ „	507 „	303
	36		7040	3281	3759
კონცერტები	6		2919	1019	1900
წარმოდგენა	2		432	115	317
კინო	28		7393	3847	3546
სულ მასიურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო:	72		17784	8264	9522

წარსულ ზაფხულის თვეების განმავლობაში კავშირის მიერ მოწყობილი იყო მრავალი ექსკურსიები, როგორც შორეული, ისე რესპუბლიკის ფარგლებში.

შორეულ ექსკურსიებს შორის აღსანიშნავია მოსკოვ-ლენინგრადში, კიევში, ოდესაში, სევასტოპოლში, ხარკოვში, ნოვოროსისკში, როსტოვში, ცარიცინში, პიატიგორსკში, პოლტავაში, იაროსლავლში, ურალზე და კავკავში სამხედრო გზით.

შორეულ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო სულ 186 განათლების მუშაკმა, მათ შორის 101 ქალმა, 85 ვაჟმა, 170 მასწავლებელმა და 16 ტეხნიკ. თანამშრ.. ტფილისიდან 146 კაცი, პროვინციებიდან 40 ქაცი. ექსკურსიები ეწყობოდა, როგორც ჯგუფებათ, აგრეთვე ერთეულებიც.

რესპუბლიკის ფარგლებში ექსკურსიები მოეწყო:

1. ბათუმში	—	3 ჯერ,	მონაწილეობა მიიღო	33 კაცმა
2. ბორჯომ-ბაკურიანში		1 „	„ „	12 „
3. ზაჰესში	—	3 „	„ „	125 „
				170 კაცი

ექსკურსიებს მართავდენ უშუალოდ ადგილკომებიც. ადგილკომების მიერ მოწყობილ შორეულ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 29 კაცმა ა/კ. ფარგლებში 109 კაცმა. საექსკურსიო ლიტერებს ადგილკომები ღებულობდენ კავშირის კულტ-განყოფილებაში.

კავშირის მიერ მოწყობილი იყო აგრეთვე მაზრების მასწავლებელთათვის ექსკურსია ტფილისში. მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ტფილისში მუზეუმები, უნივერსიტეტი და სპეც. ტეხნიკუმები, აგრეთვე ზაჰესი. მთელი ექსკურსია ჩატარებული იყო კავშირის ხარჯზე და ექსკურსანტები ძლიერ მადლიერნი დარჩენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მაზრებიდან უმთავრესად დაბალი საფეხურის მასწავლებლობა და ტეხნიკ. თანამშრომელნი იყვნენ ჩამოსულნი.

— ზაფხულის თვის განმავლობაში განათლების მუშაკთა სახლს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, აგრეთვე შეძენილ იქნა სახლისათვის საჭირო ინვენტარი.—

— განათლების მუშაკთა სახლში მოეწყობა მოხსენებები ოქტომრის რევოლუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად:

22 ოქტომბერს საღ. 8 საათზე ქართულ ენაზე.

23 ოქტომბერს საღ. 8 საათზე რუსულ ენაზე.

24 ოქტომბერს საღ. 8 საათზე სომხურ ენაზე.

— კვირას 23 ოქტომბერს დილის 10 საათზე მოეწყობა ექსკურსია რევოლუციონურ მუზეუმში. შესაკრები პუნქტი გან. მუშაკთა სახლი.

— 29 ოქტომბერს საღ. 8 საათზე მოხთება გან. მუშაკთა სახლის წევრთა საერთო კრება. მ. მ. ს. გამგეობის გადასარჩევად. არჩევნების შემდეგ კონცერტი.

პედაგოგიური განათლება რ. ს. ფ. ს. რ.-ში

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. საკ. კომ. პ. (ბ) ცეკამ მოისმინა მოხსენება პედაგოგიურ განათლების შესახებ რ. ს. ფ. ს. რ-ში და აღნიშნა, რომ ამ განათლების მდგომარეობა მატერიალური ხაზისა და საქმის დაყენების მხრივ მძიმეა.

ცეკამ აღნიშნა, რომ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა აღნიშნულ განათლების გაუმჯობესებას.

ცეკამ დაავალა აგიტპროპის ცეკას განათლების სახკომისარიატთან ერთად, არა უგვიანეს 1928 წ. 8 იანვრისა შეიმუშაოს და შემოიტანოს ცეკაში პრაქტიკული ღონისძიებანი პედაგოგიური განათლების გასაუმჯობესებლად.

ცეკამ საჭიროთ სცნო აგრეთვე დაავალოს რ. ს. ფ. ს. რ-ის და ავტონომიურ რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ პედაგოგიურ სასწავლებლებში საქმის დაყენების გაუმჯობესებას, რომლებიც ამზადებენ მასწავლებლებს კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებათა სკოლებისათვის. (ადს.)

პასუხის მგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

ამოცანები.

№

ხეზე იჯდა 100 ჩიტი. გაიარა კაცმა და უთხრა: გამარჯობა ასო ჩიტოო! ჩიტებმა უთხრეს: ჩვენ ასი არა ვართ. გვაკლია ერთი იმდენი, რამდენიცა ვართ, კიდევ მისი ნახევარი და მეოთხედი. კიდეე შენც ზედ უნდა მიგათვალოთ და ასი მაშინ შესრულდებაო.

რამდენი ჩიტი ყოფილა ხეზე?

№ 2.

სამი **სხვადასხვანაირი** ციფრით (1-დან 9-მდე) დასწერეთ უმცირესი რიცხვი (რიცხობრივი გამოთქმა). შეგიძლიათ გამოიყენოთ ყოველნაირი ალგებრული ნიშნები. რიცხვი არ უნდა იყოს უარყოფითი და არც ნულს უდრიდეს.

ვინც რიცხვებში კარგად ერკვევა, ამ ამოცანას შეასრულებს 7 წამში.


№ 3.

ბლოკნოტის ფურცელზე იპოვეს ჩაწერილი გამრავლება. გაარჩიეს მხოლოდ სამრავლი და ნაწარმოების ორი ციფრი ათეულები და ასეულები. დანარჩენი წაშლილი იყო.

253
. .
———
. . . .
. . . .
———
. . 56 .

შეადგინეთ მამრავლი და ნაწარმოები.

№ 4.



აიღეთ მავთულის 4 თანასწორი ნაჭერი. გააკეთეთ მისგან 4 ასეთი ფიგურა. (5-იანი). როგორ უნდა მიუყენოთ ეს ფიგურები ერთმანეთს ისე, რომ მიიღოთ კვადრატი, გაყოფილი 9 თანასწორ უჯრა-კვადრატებად?

ვინც ამას შეასრულებს 5—7 წამში, კომბინაციების კარგი ნიჭი ჰქონია.

ფასი 40 კაპ.

8 20 ეკ
1927/2